# საერთო გაზეთი

№4 (685)
ოთხშაბათი
8 თებერვალი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## დამანგრეველი მიწისძვრა







## პეტრე მამრაძე: სააკაშვილს საქართველოში ყველაზე მეტად მერაბიშვილი ეპატიჟებოდა

მიშა სასჯელს იხდის, „ხეზე" – „ნაცმოძრაობის" თავმჯდომარეა:
**РАЗВЕ ЭТО НОРМАЛЬНО?**





## მამუკა არეშიძე: რუსეთთან ურთიერთობის ქვაკუთხედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა

ომის დაწყებამდე, უკრაინასთან ერთად საქართველოსა და ყაზახეთში შემოჭრაც იგეგმებოდა

## მაია ნიკოლეიშვილი: „ემპათიას" საქმიანობა უნდა აეკრძალოს!



## გაიტანეთ „გრენლანდია!"



## სამხრეთ ამერიკა ომს არ ემხრობა



## თბილისი, 7 თებერვალი, 17 საათი



## უკუღმა წაკითხული ევროკომისიის ანგარიში

## „არანაცური აზროვნება" სამშობლოს ღალატის სინონიმად იქცა...

არც მიშაა ქართველი და არც ზელენსკია უკრაინელი...

„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# უკუღმა წაკითხული ევროკომისიის ანგარიში



**„მინდა მივულოცო საქართველოს მთავრობასა და საქართველოს სახელმწიფო სამსახურს ევროკომისიის ძალზე დადებითი ანგარიშის გამოქვეყნება.“**

**პაველ ჰერჩინსკი**

რას ამბობს ჰერჩინსკი, მთელი 12 ქულით უსწრებს საქართველო მოლდოვას და თითქმის ყველა საკვანძო პარამეტრით უკრაინასო? რაო, აქამდე ბოლოში მიჩანჩალებდა და ახლახან გადაუსწრო? უარი კი გვტკიცეს, მაგრამ ახლა რაღამ მოუბრუნათ გული, საკმაოდ დადებითი ანგარიში რომ გამოაქვეყნეს?

ჩვენ რაც ვიცით, ის არის, რომ ირაკლი კობახიძე სტრასბურგში იმყოფებოდა 22-24 იანვარს, შეხვდა მარია ბურიჩსა და ტინი კოგსს (მას დაუჭირა მხარი საქართველომ), ხოლო 31 იანვარს ევროპის საბჭომ შეგვაქო და უპირობოდ აღიარა საქართველოს ევროპული მომავალი.

ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილზე ევროკომისიის მიერ მომზადებული შეფასებით, საქართველო „ტრიოს“ ქვეყნებში საუკეთესოა ექვსი ჯგუფიდან სამში — ყველაზე მთავარ, ე.წ. ფუნდამენტური სფეროების ჯგუფში.

ანგარიშთან ერთად ბოლო დღეებში გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, კორუფციის აღქმის ინდექსში ვუსწრებთ ყველა კანდიდატს, ევროკავშირის 9 და „ნატოს“ წევრ თერთმეტ ქვეყანას; თავისუფლების ინდექსში ვუსწრებთ ყველა კანდიდატს, ევროკავშირის სამ და „ნატოს“ შვიდ წევრ ქვეყანას.

ყოვლად წარმოუდგენელია, შარშან ივნისიდან დღემდე ასეთი ნახტომი გაეკეთებინა საქართველოს, მაშასადამე, გამიზნულად არ მოგვცეს მაშინ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და გაახარეს საქართველოს ავისმოსურნენი. არავის აუხსნია, რა დავაშავეთ, რითი გვჯობდა ევროპელებთან „საამხანაგოდ“ უკრაინა ან მოლდოვა. უკაცრავად და, რადგან უკრაინის ფეხდაფეხ ომში არ ჩავებით რუსეთთან, თუ რადგან დსთ-ის წევრი არ ვართ მოლდოვასავით?

ჩვენთვის ის დარჩა ფაქტად, რომ შარშან სწორედ ევროპული სტრუქტურების გადაწყვეტილებამ აუნთო „მწვანე შუქი“ შინაურ მავნებლებს, ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას, მასზე მიბმულ ასოებსა (არამთავრობო ორგანიზაციები) და მათსავე მედიასაშუალებებს, რომ კიდევ ერთი საბაბ-მიზეზით ეცადათ არეულობის მოწყობა; კიდევ უფრო მეტად გაეღრმავებინათ ისედაც ფსკერგამოცლილი პოლარიზაცია და კიდევ ერთხელ აყაყანებულიყვნენ, გადადგეს საქართველოს არსებული ხელისუფლებაო.

ვიდრე საქართველო ყველაფერს რეალურ სახელს არ დაარქმევს, ყოველთვის წინ დახვდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო წინააღმდეგობა, უარი, დაჩაგვრა, დატუქსვა...

„შინ ევროპისკენ!“ — ყვირილი გამახსენდა, „შინაური მავნებლები“ რომ ახავლდნენ და დღემდეა შემორჩენილი შენობა-ნაგებობების ფასადებზე სიმახინჯედ მიწერილი ეს მოწოდება ფერადი სითხეებით. თუ „ევროპული მომავალი და სახლი-ევროპა“ შორს არის, ლოყებს რომ იხოკავენ, ხოლო თუ ახლოს არის, გულყრა ემართებათ — ეს არის მავნებლობის კლასიკა,

„ევროპელთაგან“ შედევრთა შედევრი შუბლისძარღვგაწყვეტილი, ყოვლად უტიფარი ვახო სანაია აღმოჩნდა, რომელსაც ოდნავ მაინც არ დაედევნა სირცხვილის გრძნობა, ასეთი რამ გამოაქვეყნა: „ახლა იმის შესახებ, როგორ ცდილობს „ქართული ოცნება“ ხალხის მოტყუებას. ეს ანგარიში ეხება, ასე ვთქვათ, ტექნიკურ მხარეს. მარტივად ავხსნი. მაგალითად, გაქვს სასამართლოს შენობა, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ დონეს, მაგრამ შიგნით არა გაქვთ სამართლიანობა. გეუბნებიან, შენობა ნორმალურია, ამ ნაწილში გიწერთ დადებით შეფასებას, მაგრამ მთავარი არაა მაგ შენობაში — სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და კანონის უზენაესობა. ამიტომ, თუ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი გინდათ, ამ საქმეს მხოლოდ შენობა, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური გამართულობა არ ეყოფა, ის 12 პუნქტი უნდა შეასრულოთ, რაც შარშან ჩამოგიწერეთ.

ვართ თუ არა მოლდოვასა და უკრაინაზე წინ? ტექნიკურ ნაწილში — კი. იმიტომ, რომ მანამდე გვაქვს ეტაპები გავლილი და, შესაბამისად, გამოგვადგა, მაგრამ ძირითად საკითხებში ჩამოვრჩებით. ამიტომ დაგვიწერეს ის 12 პუნქტი შესასრულებლად, მოლდოვასა და უკრაინას კი პირდაპირ მიანიჭეს სტატუსი. ამ ორი ქვეყნის არჩევანი ევროპელებისთვის მკაფიოა, საქართველოს პოზიცია კი მათთვის უკიდურესად ბუნდოვანია. უკრაინამ გახსნა ეს შესაძლებლობა მოლდოვასა და საქართველოსთვის, ივანიშვილმა კი სწორედ უკრაინა გამოაცხადა მტრად, დასავლეთი — აგრესორად, ქვეყნის შიგნით კი მიწასთან გაასწორა დემოკრატია.

მთავარია, რა შინაარსის მატარებელია შენობა, რომელშიც სასამართლოა განთავსებული; მთავარია სამართლიანი გადაწყვეტილებები, თორემ შენობას როგორმე გავარემონტებთ; მთავარია საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია.

ასე რომ, კანდიდატის სტატუსის ბედი დამოკიდებულია იმ 12 პუნქტზე, რომლის შესრულება ხელისუფლებას ცოცხალი თავით არ სურს, მაგრამ ჩვენ, მოქალაქეებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს სტატუსი წელს მაინც მოვიპოვოთ.“

მართალია ეს ქვეყნის მავნებელთაგანი, მართლაც არ არის ქართულ სასამართლოში სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და კანონის უზენაესობა. ასე რომ იყოს, ეს ვაჟბატონი თავისი ბატონების მსახური აღარ იქნებოდა, რადგან ის ბატონები (გნებავთ, ქალბატონები), მართლმსაჯულების წინაშე დიდიხნის წარმდგარები იქნებოდნენ, ტელევიზიის (ტელევიზიების) მფლობელებად კი არა, კუთხეში მიყუჟულ რიგით ბრალდებულებად წარმოგვიდგებოდნენ;

„ვივამედშიც“ არ იქნებოდა წამოტრანჩული ის სიმულანტი და მის მენიუზე არ ვიქნებოდით მიდევნებული ლამის სრულიად საქართველო; არც ამდენი სისხლისმღვრელი, მწამებელი, მევახშე, სამშობლოს გამყიდველი, უცხო ქვეყნის სამსახურების შეფარული თუ ღია მოხელე გვეყოლებოდა და კიდევ უამრავი პასუხმოსათხოვი თავგასული; არც შერჩევითი სამართალი გვექნებოდა, მხოლოდ რიგით ადამიანებზე რომ ვრცელდება მთელი სიმკაცრით და მხოლოდ თითის დაქნევით შემოიფარგლება საქართველოს შინაური თუ გარეშე ღია მტრებისთვის — კიდევ ბევრი რამ არ იქნებოდა ასე და საქართველოც ამოისუნთქებდა, შეწყვეტდა გამუდმებულ რყევას...

უტიფარია ვახო სანაია-მეთქი, ტყუილად არ ვთქვი!

უტიფარია ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ წარმოუდგენლად მაგარი შანსი გაგვიჩნდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისა უკრაინის წყალობით — ეს ერთი და პირველი; ხოლო მეორე — ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ აღნიშნული სტატუსი არ მიგვეღო, ბოლომ-






| კლასტერი (საკითხთა ჯგუფი) | თავი | | ქვეყანა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საქართველო | | უკრაინა | | მოლდოვა | |
| | | | # | მომზადების დონე | # | მომზადების დონე | # | მომზადების დონე |
| 1. ფუნდამენტური სფეროები | 24 | მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 5 | საჯარო შესყიდვები | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 18 | სტატისტიკა | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 32 | ფინანსური კონტროლი | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | | | 8 | | 7 | | 6 | |
| 2. შიდა ბაზარი | 1 | საქონლის თავისუფალი გადაადგილება | 2 | გარკვეული დონე | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე |
| | 2 | მუშახელის თავისუფალი გადაადგილება | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 3 | დაფუძნების უფლება და სერვისების მიწოდების თავისუფლება | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 4 | კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 6 | მეწარმეობის შესახებ კანონმდებლობა | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 7 | ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ კანონმდებლობა | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 8 | კონკურენციის პოლიტიკა | 1 | ადრეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 9 | ფინანსური სერვისები | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 28 | მომხმარებლების და ჯანმრთელობის დაცვა | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | | | 18 | | 17 | | 15 | |
| 3. კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა | 10 | ინფორმაციული საზოგადოება და მედია | 2 | გარკვეული დონე | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე |
| | 16 | გადასახადები | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 17 | ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა | 3 | შედარებით კარგი | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე |
| | 19 | სოციალური პოლიტიკა და დასაქმება | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 20 | საწარმოების და ინდუსტრიული პოლიტიკა | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 25 | მეცნიერება და კვლევა | 3 | შედარებით კარგი | 3 | შედარებით კარგი | 3 | შედარებით კარგი |
| | 26 | განათლება და კულტურა | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 29 | საბაჟო კავშირი | 3 | შედარებით კარგი | 4 | კარგი დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | | | 21 | | 20 | | 15 | |
| 4. მწვანე დღის წესრიგი და მდგრადი დაკავშირებადობა | 14 | ტრანსპორტის პოლიტიკა | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 15 | ენერგეტიკა | 2 | გარკვეული დონე | 4 | კარგი დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 21 | ტრანს-ევროპული ქსელები | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 2 | გარკვეული დონე |
| | 27 | გარემო და კლიმატის ცვლილება | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | | | 7 | | 9 | | 7 | |
| 5. რესურსები, სოფლის მეურნეობა და ერთიანობა | 11 | სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 12 | სურსათის უვნებლობა, ვეტერინარიული და ფიტოსანიტარული პოლიტიკ | 2 | გარკვეული დონე | 3 | შედარებით კარგი | 2 | გარკვეული დონე |
| | 13 | თევზის რეწვა | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 22 | რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცი | 1 | ადრეული დონე | 2 | გარკვეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | 33 | ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე | 1 | ადრეული დონე |
| | | | 7 | | 8 | | 6 | |
| 6. საგარეო ურთიერთობები | 30 | საგარეო ურთიერთობები | 3 | შედარებით კარგი | 4 | კარგი დონე | 3 | შედარებით კარგი |
| | 31 | საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა | 3 | შედარებით კარგი | 4 | კარგი დონე | 3 | შედარებით კარგი |
| | | | 6 | | 8 | | 6 | |
| | | ჯამი: | 67 | | 69 | | 55 | |

დე გადააზღვია და კანდიდატობის სტატუსის მიღების განხილვამდე ცოტახნით ადრე დაიჭირა გვარამია, რითიც ბეჭედი დაუსვა სტატუსის თემასო.

ასეთი უტიფარის გამო დრო რომ დაკარგო რაიმეს ასახსნელად, ან შესახსენებლად, ღირს კი? ასეთი ხალხი ხომ იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რაგინდ სიმართლე იცოდნენ, რასაც მოისურვებენ, მაინც იმას რომ იტყვიან...

ეს ცრუ რომ ამბობს, 12-პუნქტიანი რეკომენდაცია „ქართულმა ოცნებამ" სულ ფეხებზე დაიკიდა, უფრო სწორად, უკუღმა გააკეთა ყველაფერი, რაც იქ წერიაო, აბა, რას გვილოცავს პაველ ჰერჩინსკი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი, საიდან გაჩნდა „ევროკომისიის ძალზე დადებითი ანგარიში"?

თურმე, ნუ იტყვით, უკრაინა და მოლდოვა პირდაპირ ამბობენ, საქართველოს რა ესაქმება ევროკავშირში, როცა მათი მთავრობა პატიმრობაში წამებით კლავს პრეზიდენტსო.

უკრაინაზე გამახსენდა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გენერალური ინსპექტორის ცხელი ხაზი რატომ ამოქმედდა? კერძოდ, მითითებულ ნომრებზე უკრაინელებს რატომ შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება უკრაინაში არსებულ დარღვევებზე, რომელიც კორუფციას, თაღლითობას, თანხის გაფლანგვას, სექსუალურ ექსპლუატაციას, შევიწროვებასა და ადამიანებით ვაჭრობას უკავშირდება? — ტყუილუბრალოდ არცერთი ქვეყანა არ ხსნის სხვა ქვეყნისთვის ასეთ ხაზს...

ახლა, თურმე, ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღების მეორე შანსი მოდის, მაგრამ ეს შანსი ამჯერად ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაზეა მიბმული. მართალია, მთლად გადანასკვული არ არის, მათი განთავისუფლება ავტომატურად არ ნიშნავს კანდიდატის სტატუსის მოპოვებას, მაგრამ მათი ციხეში ყოფნა ნამდვილად ნიშნავს შანსების უკიდურესად შემცირებასო.

ვიღაცამ იკითხა: როდის იყო, სამშენებლო მასალას აფასებდა ევროკავშირიო? ანუ, რას ამბობს, ტელევიზიის შენობას არა უშავს, აპარატურაც ნორმალური აქვთ, მაგრამ ვირის საოხრეს მსგავს ვახო სანაიას ჟურნალისტიკასთან რა საერთო აქვსო?

ევროკავშირი რას აფასებს, ძნელი გასარკვევი არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც გაურკვეველი დარჩა რიგითი ქართველებისთვის, რა აქვს სახარბიელო აღნიშნულ კავშირს საქართველოსთვის?

წლებია, პირადად მე, ერთი ადამიანი ვთხოვ ყველა კომპეტენტურ პირს, ჩამომითვალოს ან მიმითითოს წყარო, სადაც შევძლებ ზედმიწევნით იმის გაგებას, რა სარგებელი ექნება საქართველოს ამ კავშირიდან და რა ზარალი მიადგება, მაგრამ პასუხი არსაიდან მეღირსა — ელემენტარულია, რაღაცას რომ ესწრაფვი, იმ „რაღაცის" მიღების შემდეგ შენ რა გევალება, ხომ უნდა იცოდე?

ჯერჯერობით, რასაც ვხედავ და ხელისგულზე დევს, თურქეთისა და გაერთიანებული სამეფოს დამაფიქრებელი მაგალითებია, რასაც თან ერთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შეშფოთება „რა უნდა საქართველოს ევროკავშირში, რა დღეში ჩაცვივდებით, ვერ წარმოიდგენთო" და მარტივი მაგალითები მოჰყავთ, რაც დღევანდელი საქართველოსთვის ყოვლად წარმოუდგენელი უღელ-გადასახადებით იწყება.

რაც შეეხება მაგალითად მოყვანილ ორ ქვეყანას — თურქეთმა ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე 1987 წელს შეიტანა განაცხადი და 1999 წელს, ლუქსემბურგის სამიტზე ჰელსინკის საბჭომ თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატად 12 წლის შემდეგ აღიარა და არის და არის კანდიდატი...

რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, 2020 წლის 31 იანვარს ევროკავშირის 70-წლიანი არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო პოლიტიკური მოვლენა მოხდა: წევრმა სახელმწიფომ, გაერთიანებული სამეფოს სახით, ევროკავშირი დატოვა. საგულისხმო ის არის, რომ, საქართველოსი არ იყოს, დიდი ბრიტანეთიც „კარს უმტვრევდა" ევროკავშირს, თქვენთან გვინდა, მიგვიღეთო, მაგრამ სანამ საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი იყო, საშველი არ ადგებოდა. იგი მიიჩნევდა, რომ გაერთიანებული სამეფოს ინტერესები ნაკლებად იყო თანხვედრაში ევროპული პროექტის იდეასთან და უფრო მეტად აშშ-ზე იყო ფოკუსირებული. 2-ჯერ ვეტოდადებული ბრიტანეთი, როგორც იქნა, 1973 წელს გაწევრიანდა ევროკავშირში, მაგრამ ორ წელში უკვე რეფერენდუმის ჩატარება გახდა საჭირო იმის გასარკვევად, რამდენად მართებული იყო ბრიტანეთის დარჩენა გაერთიანებაში. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე ქვეყანა ევროპულ ოჯახში დარჩა, მაგრამ მასში სრული ინტეგრაცია არ მოისურვა. გაერთიანებულმა სამეფომ მხარი დაუჭირა ევროზონის შექმნას, მაგრამ მასში გაწევრიანებაზე უარი თქვა; იგი არ შეუერთდა არც შენგენის სივრცეს. ფაქტობრივად, ბრიტანეთს ევროკავშირში რაღაც სასტიკად არ მოსწონდა, რაღაც მოსწონდა...

საგულისხმო ის იყო, რომ ასაკოვანი ბრიტანელები ევროკავშირიდან გასვლის მომხრეები იყვნენ, ხოლო ახალგაზრდები კი — ევროკავშირში დარჩენის მომხრეები.



საბოლოოდ, მოგეხსენებათ, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვა და დამადლებულივით გადმოგდებული მიზეზები დაგვიტოვეს განსჯისათვის: ევროკავშირი ბიზნესისთვის ძალიან ბევრ წესს ადგენსო; ბრიტანეთი იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე სარგებელს ნახულობს ამ ურთიერთთანამშრომლობითო; ბრიტანეთს სურს, საკუთარი კანონმდებლობით იხელმძღვანელოსო; ბრიტანეთის სურვილია, საზღვრებზე სრული კონტროლი დაიბრუნოსო... — საინტერესოა, ამ მცირე, მაგრამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხებიდან რომელი არ აინტერესებს და არ აღელვებს საქართველოს?

მახვეწარი დიდი ბრიტანეთი რომ რაღაც კავშირიდან გავა, მასში შესვლის მსურველი ქვეყანა ხომ ზედმიწევნით უნდა დაინტერესდეს, „რა წყალი ამოუვიდა" მართლაც ევროპულ სახელმწიფოს და საკუთარ ქართველ (კავკასიელ) მოქალაქეებსაც დაუფარავად უთხრას, საით მიჰყავს?

გარდა ამისა, მაკრონისა და შოლცის სიტყვები მახსენდება, გლეხურად ასე რომ გაისმის: რუკას მაინც დახედეთო... დავხედე რუკას და იმ სახედრად წარმოვიდგინე თავი, ცხვირწინ სტაფილოს რომ ჩამოუკიდებს იმავე სახედარზე მჯდომი „მხედარი", სატყუარას გეზისმიმცემი ჯოხი თვითონ უკავია ხელში და საითაც უნდა, იქით მიაჩინდრიკებს სტაფილოზე დახარბებულს...

მე ვარ ქართველი და არავითარი „მაშასადამე" — რეალურად ასეა და რა ვიცი, შემდგომ უხერხულობა არ შეიქნას...

**ნინო დაუშვილი**



# სააკაშვილს საქართველოში ყველაზე მეტად მერაბიშვილი ეპატიჟებოდა

## მიშა სასჯელს იხდის, „ხებე“ – „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეა: РАЗВЕ ЭТО НОРМАЛЬНО?

*გვესაუბრება პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე:*

**— ბატონო პეტრე, ვანოს შურისძიება შედგა: მიშა სასჯელს იხდის, ხაბეიშვილი კი — „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ აირჩიეს...**

— „ნაცმოძრაობას“, შექმნის დღიდან, ამომრჩეველი ხმას მხოლოდ მიშას გამო აძლევდა. სააკაშვილისთვის პარტია ძალაუფლების განსამტკიცებელი ინსტრუმენტი იყო. მას შემდეგ, რაც იგი 2013 წელს საქართველოდან გაიქცა, „ბირთვული ელექტორატი“ — 13-15%, ნაცებს მაინც მისი ხათრით აძლევდა ხმას. 2016 წლის არჩევნებში პარტიამ 28 ადგილი აიღო, 2020 წელს კი — 36. ანუ, ერთ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე ყველა დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიამ. 2016 წელს მიშამ 28 კაცი კი გაიყვანა პარლამენტში, მაგრამ მალევე 22 – გამოაკლდა და ცალკე



პარტიად — „ევროპულ საქართველოდ“ ჩამოყალიბდა. ეს ბოკერიამ გააკეთა. შედეგად, ეს უკანასკნელი არჩევნებში სამარცხვინოდ ჩაფლავდა. მან მხოლოდ შვიდი ხმა მიიღო. მიშამ უთხრა: ჩემს გარეშე, ამდენსაც ვერ მიიღებდიო. აღსანიშნავია, რომ მიშას მიმართ პარტიულ ელიტაში უარყოფითი დამოკიდებულება იყო. თავად ვარ მოწმე, მას ზურგსუკან იდიოტს და გიჟს როგორ ეძახდნენ, არც უწმაწურ სიტყვებს ერიდებოდნენ. სამადაშვილის ფარული ჩანაწერი ყველას გვახსოვს, სადაც მიშას სამასოიან სიტყვად მოიხსენიებს. ჩემთვის ამაში ახალი არაფერი ყოფილა, უარესებიც მომისმენია. თანაგუნდელები განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ლანძღავდნენ: ამ გიჟმა ყველანი დაგვღუპაო. ელიტის შიგნით არსებულმა განწყობამ განაპირობა, რომ ჯერ გრიგოლ ვაშაძე წავიდა სკანდალური წერილით, პარტიამ კი სააკაშვილის ჯინაზე მელია აირჩია და არა ვარშალომიძე. **დააკვირდით ერთ რამეს: სააკაშვილის „ბირთვულმა ელექტორატმა“ 28 იანვარს „ნაცმოძრაობის“ შიდა, რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო.** „გირჩმა“ საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა — რეგისტრაცია გაიარა და არჩევნებში ხმა მისცა. **სააკაშვილის „ბირთვული ელექტორატი“ არცკი დარეგისტრირებულა, რადგან იგი არც მელიას აღიქვამს მიშას საქმის გამგრძელებლად და, მით უმეტეს, არც ხაბეიშვილს.** თავად სააკაშვილის პოზიციაც პასიური იყო. სხვა კანდიდატები: გრიგოლ ვაშაძე, დავით ბაქრაძე, მისი სექტის ერთგულნი იყვნენ. ამ შემთხვევაში სააკაშვილმა არ დააფიქსირა, ხაბეიშვილი იგივე მე ვარო. მით უმეტეს, ეს არ გააკეთა მელიას შემთხვევაში. თავმჯდომარეობის კანდიდატები კი იჭინთებოდნენ: ჩვენთვის უპირველესი სააკაშვილის ციხიდან გამოყვანააო — ხაბეიშვილი მიშას გულის მოსაგებად იმასაც კი ყვიროდა, რაც მერაბიშვილ-კეზერაშვილმა დაავალეს: შევვარდები და თავად გამოვიყვან მიშასო. ეს პათოსი სააკაშვილის ელექტორატიდან ხმების მოპოვებაზე იყო გათვლილი. ხაბე ფიქრობდა: იქნებ, დაიჯერონ, რომ მე მიშასთვის თავს დავდებო. მუმლაძეც იგივეს იმეორებდა. მიშას დახსნა მართლა კი არ უნდოდათ. მათ სააკაშვილი სძულთ. უბრალოდ, ხმების მოსაზიდად ირჯებოდნენ, მაგრამ ეს ტრიუკი არ გამოუვიდათ.

„ნაცმოძრაობა“ არასდროს ყოფილა რაიმე პოლიტიკურ მრწამსზე დაფუძნებული. ყველანი კარიერაზე და ფულზე ზრუნავენ. სააკაშვილის კრედო გახლდათ — ვინც გვერდით დამიდგება, ყველას დავაფასებო. ეს ჩემი თანდასწრებითაც უთქვამს. მისი თანაგუნდელები საქართველოს კვალობაზე მილიონერები არიან. მელიამ დიდი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. მას კეზერაშვილი-მერაბიშვილის ტანდემმა აჯობა. კეზერა ფულთან, დაფინანსებასთან ასოცირდება. თავად ნაცების საბიუჯეტო დაფინანსება ლამის 3 მილიონი ლარია. ამას ემატება კეზერაშვილის ფული და „ფორმულა“. ამიტომაც გაიმარჯვა სრულიად კომიკურმა, გაუნათლებელმა ფიგურამ — ხაბეიშვილმა. მისი დაბალი დონე თვალშისაცემია. ტყუილად როდი ეძახიან „ქურქულუმ ვაითს“. ხაბე ყოველთვის ელიტისკენ მიილტვოდა და იქ მოსახვედრად არც ხმამაღალ სულელურ განცხადებებზე ამბობდა უარს. სწორედ ამანაც განაპირობა მისი ამ პოსტზე შერჩევა. ხაბე იმასაც ამბობდა: დამცინიან იმის გამო, რომ ტანსაცმელს ლუქს-მაღაზიებში ვერ ვყიდულობ, დედა გაზის კომპანიაში აღმრიცხველია, მამა მძღოლიო. ჩემი აზრით, ამაში დამაკნინებელი არაფერია. ნაცებში სწორედ ასეთ ხალხს არჩევდნენ და მათ ეუბნებოდნენ: არარაობიდან ფიგურად გაქცევთ, მდიდარი იქნები, ოღონდ, ყველა დავალება შეასრულე, რაოდენ კანონსაწინააღმდეგოც უნდა იყოსო.

**— მელიას ანტიმიშად მოიხსენიებდნენ, ვანომ შური იძია. რა გამოდის, მიშას პარტია მოპარეს?**

— უფრო ზუსტად, მიშას პარტია ხელიდან გამოაცალეს. ეს პროცესი სააკაშვილის საქართველოდან წასვლის მერე დაიწყო. 2008 წლის შემდგომ დეპრესიაში მყოფი მიშა ნარკოტიკებს იღებდა და რეალობას თანდათან შორდებოდა. უცხოეთში გაქცეული მიშა თანაგუნდელებს იქიდან ათასგვარ დავალებას აძლევდა. მაგალითად, გვარამიას ეუბნებოდა: „რუსთავი-2“-ის გარშემო სარკოფაგი ააშენე, ისე გააკეთე, რომ მთავრობამ მასზე იერიში მოიტანოსო. აქვე დასძენდა: კარგი იქნება, ქალი ჟურნალისტი თუ მოკვდება, სჯობს, ორსულიო. წარმოგიდგენიათ, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას ხელისუფლებისთვის?! რა თქმა უნდა, ამ ქალს თავად მოკლავდნენ და მერე გვამს დადებდნენ. ეს მათი ხელწერაა. სხვა ვარიანტებიც ჰქონდა, ამბობდა: 200-300 ათასი ადამიანი შეკრიბეთ და ხელისუფლება დავასრულოთო. აქედან ეუბნებოდნენ: ამის რესურსი არ გვაქვსო. გარდა ამისა, სააკაშვილი ტელევიზიებსაც იქიდან აკონტროლებდა. გახსოვთ, 2015 წელს წყალდიდობამ ზოოპარკი რომ წალეკა. მაშინ „რუსთავი-2“-ის ლურჯი პოდიუმი შუა ტალახში, ვერეს ხეობაში, მდინარეში დაიდგა, საიდანაც წამყვანებს რეპორტაჟი მიჰყავდათ. ვინ მოიფიქრა ეს სცენა? — რა თქმა უნდა, სააკაშვილმა. ელდარ შენგელაია ამბობდა, მიშა რეჟისორად დაიბადაო. აი, ასეთ აბსურდულ დავალებებს აძლევდა გუნდს. ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა 28 კაციდან 22 გაექცა. იცით, 2020 წელს რატომ გამოაცხადებინა თავის გუნდს პარლამენტში ბოიკოტი? — იმიტომ, რომ ზუსტად იგივეს ელოდა: 36 კაცი შევა პარლამენტში, ორ კვირაში გაიქცევიან და ახალ პარტიას შექმნიანო. აი, ამის ეშინოდა.

**— ბოიკოტისთვის ხაბეიშვილიც ემხადება...**

— დეკანოიძემ ბოიკოტზე უარი თქვა — პარლამენტი რომ დავტოვოთ, ბერკეტებს დავკარგავთ, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის საშუალებაც შეგვიმცირდებაო. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: **მერაბიშვილი თავისი მენტალიტეტით და მოქმედებებით ანტიპოლიტიკოსია.** იგი იყო ინსტრუმენტი, რომელიც ერთი ადამიანის



დავალებას: მკვლელობებს, წამებას და ა.შ., უსიტყვოდ ასრულებდა — ითქვა და მორჩა.

**— მერაბიშვილის პარტიაში დაბრუნება რა „სიკეთეს“ მოუტანს პარტიას?**

— ეს დაბრუნება შემდეგს ნიშნავს: პარტიაში ის ხალხი დარჩება, ვინც მერაბიშვილის ბრძანებებს უსიტყვოდ შეასრულებს. მას სხვაგვარად არ შეუძლია. ძველი თაობის პოლიციელისგან მომისმენია: ასეთი მინისტრი ჯერ არ გვყოლიაო. ოპერატიულ მუშაკს ოპერაციის დროს ხელი რომ გაეჭრა, ზედ გადაჰყვებოდა, მთავარია, მისი მორჩილი ყოფილიყო. მიშას შეეძლო პარტიის შეკვრა, შიგნით კონსენსუსის მოპოვება, მერაბიშვილი კი ცულივით არის. როცა ხელისუფლებაში ივანიშვილი მოვიდა, ვანო მიშას დაჰპირდა: ბიძინას „გაგიტისკავო“. და რა მოხდა? — „ქართუ ბანკის“ მანქანა დღისით-მზისით გაძარცვეს, მერე იყო ბანკის გაკოტრება. მაშინ მთელი თბილისი ბანკის გადასარჩენად რიგში ჩადგა. ვანომ მხოლოდ ძალის გამოყენება იცის, სხვაგვარად არ შეუძლია. აი, კეზერაშვილი და მისი კავშირები მაფიასთან ისრაელში თუ სხვაგან, სულ სხვა საკითხია. ვინ დარჩება პარტიაში? არ გამიკვირდება, თუ ნეგატიური სელექცია მოხდება. ეს პარტია არჩევნებში ხმებს ვეღარ აიღებს, ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის.

**— როგორც ამბობენ, სწორედ მერაბიშვილმა დაარწმუნა სააკაშვილი, საქართველოში დაბრუნებულიყო. ამას მოჰყვა მიშას ინტერვიუ „შპიგელთან“, სადაც ამბობს, რომ საქართველოში მის ჩამოსვლაში რუსეთის ჩანერგილი აგენტების ხელი ურევია... რა გამოდის, ჩანერგილ აგენტებში მერაბიშვილიც იგულისხმება?**

— უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული ორივე ინტერვიუ დედანში დიდი ყურადღებით წავიკითხე. საინტერესოა, რომ მერაბიშვილი საჯაროდ სააკაშვილს არსად უპირისპირდება. იგი ამბობს: ჩემი მეგობარი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებისთვის ყველაფერს გავაკეთებო და ა.შ. მან იცის, რომ ხმების მოზიდვა მიშას სახელთან ასოცირდება. რაც შეეხება სააკაშვილის ინტერვიუს, ღიად მერაბიშვილს არც ის ახსენებს, არამედ ამბობს: შესაძლებელია, მათ შორის, ვინც საქართველოში ჩამომიყვანა, პუტინის ჩანერგილი აგენტები იყვნენო. სასაცილო ის არის, რომ **პუტინის #1 აგენტი თავად ბრძანდება. მასთან და ბიძამისთან ახლოსაც ვერავინ მივა.** აქვე გავიხსენოთ, რა თქვა ღარიბაშვილმა: **იცოდეთ, რომ ყველაზე დიდი მონდომებით სააკაშვილს საქართველოში მერაბიშვილი ეპატიჟებოდაო. ამ განცხადების გაკეთებიდან დღემდე, მერაბიშვილმა არც ზეპირად და არც წერილობით, ეს ფაქტი არ უარყო.**



7 გვ. →

# გაიტანეთ „გრენლანდია!“



გასული კვირის ყველა მნიშვნელოვანი სიახლე, თვით სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანიც კი, სასამართლოში ნინო ნადირაძის მოწმედ გამოცხადებამ გადაფარა — დედა, რა იყო ეს?

ვუსმენდი ქალბატონ ნინოს და სხვა არაფერი მომდიოდა აზრად — ქალი სათითაოდ „კენწლავდა“ ყველას, ვინც სიმულანტ სააკაშვილს სიმულანტობაში ხელს აშველებდა და აშველებს, შემდეგ კი ისე გაიტან-გამოიტანა ყველა მათგანი ყველა კარში, თვითონვე ველარ არკვევდნენ, სად იყვნენ, ტარაბუას თავს ველარ ართმევდნენ. ცხადია, სააკაშვილის სექტამ ტრადიციული ლანძღვა-გინება აღავლინა და თავისი ჭკუით, ქალბატონი ნინო „ათრიეს“, მაგრამ ერთი მუჭა სექტანტები რა სახსენებელია, როცა დანარჩენი საქართველო ტაშს უკრავდა სიმართლის დაუფარავად თქმისთვის. ჯერ მხოლოდ ის რად ღირდა, რომ ქალბატონი ნინო მცველებისა და კოლეგების თანხლების გარეშე მივიდა სასამართლო პროცესზე და შეუვალად დაუდგა ნაყიდ-დაქირავებულ **ცუგრიკო-ცრუებს**.




ზოგადად, კარგი სასეირო სასამართლო იყო, სევდიანი კაციც კი გამხიარულდებოდა, მაგრამ ის ვერავინ ამოხსნა, სამი ადვოკატიდან მაინც და მაინც შუა რატომ ადგა, გვერდითა ორი კი „ფაბერჟეს“ კვერცხებივით იდვნენ. **ტუაფსემდე არმისული, არის ასეთი დასახლება, „მიტოშყვაჯი“ ჰქვია და ესენი რანი გამოდიან — „მიხოშყვაჯები“?**

მაყურებელ-მსმენელებმა რა გავიგეთ — ქალბატონმა ნინომ თქვა: ჩვენი ინტერესია, პაციენტი ჯანმრთელად იყოსო. სააკაშვილის სექტის სურვილი კი არის ის, რომ პაციენტი იყოს შეუძლოდ, მოწამლული, მომაკვდავი და სულაც გარდაიცვალოს. ფაქტობრივად, ნინო ნადირაძეს თავს ესხმიანიან იმის გამო, რომ „ვივამედში“ გათხლაშულ სიმულანტ პაციენტს არ აძლევენ სუიციდის საშუალებას?!

ნაფტალინმიყრილი დიმიტრი შაშკინიც კი ამოიწვერა და ნინო ნადირაძე იოზეფ მენგელეს შეადარა სტილში, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ექიმს, თუმცა ესეც არ გამოუვიდა, შევარდნაძის ეპოქაში ჩარჩენილი ადამიანის ჭორაობა იყო, რომელსაც „ჰიპოკრატეს ფიცი“ აქვს დადებულიო.

ჰაიტ, თქვენი ნაცფიცი კი გავხვრიტე ახალთახალი პერფორატორით!

2013 წელს მივუძღვენი იმ შაშკინ-კოლა ხელისუფლების მკვლელ და სადისტ სააკაშვილის რეჟიმს წერილი „საქართველო — მიხეილ სააკაშვილის საცდელ-საექსპერიმენტო საკონცენტრაციო ბანაკი“, სადაც სწორედ მენგელეს მსგავს ექსპერიმენტებში ვადანაშაულებდი და ამას დამიხედეთ, აქეთ არ მოატრიალა ისრები ამ წვერცამეტამ?!

ამონარიდი: ქართველ „ნაცებს“ რამდენი „ექიმი მენგელე“ ჰყავდათ, ვინ იცის, მაგრამ მაგალითად, პატიმარ ქალებს რომ ოპერაციებს უსაფუძვლოდ უკეთებდნენ და გარკვეულ ორგანოებს აჭრიდნენ კერძო კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალში“ (მთავარი ექიმი თეა ჭინჭარაული) არაერთმა იძულებითმა პაციენტმა დაადასტურა. ქალური ორგანოები, ფილტვი, თირკმელი, ნაღვლის ბუშტი — სააკაშვილის ქართველი „ექიმი მენგელეების“ ინტერესთა სფერო.

პატიმარი, ყოფილი პროკურორი ქეთევან ზარნაძე: „პატიმრებზე სამედიცინო ექსპერიმენტები ჯერ კიდევ კესო დანელიას დროს დაიწყო, რაც ჭინჭარაულმა გააგრძელა. პატიმრებს რაც სტკიოდათ, ყველაფერი დააჭრეს და ბოლოს, იმის აღიარებაც ეშინოდათ, თავი მტკივაო — ვაითუ, თავიც მოეჭრათ!“ ცალი ფილტვის ამოკვეთის შედეგად ლოგინადაა ჩავარდნილი პატიმარი მადინა ცათიაშვილი, რომელსაც ორივე ფილტვი ესინჯება — რატომ გაკვეთეს პატიმარი და რატომ მოატყუეს, რომ ფილტვი ამოკვეთეს? ყველა შემთხვევაში, რატომ ჩავარდა ლოგინად? რატომ ატყუებდნენ პატიმრებს, რომ ტუბეკულოზით (საშვილოსნოში მიომური კვანძები ჰქონდათ და ა.შ.) იყვნენ დაავადებულები? რატომ მიდიოდა თითქმის ყოველკვირა (ხან ორჯერაც) მამაკაცთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეცმანქანა გარდაცვლილ პატიმართა შინაგანი ორგანოების გასატანად? — ჯერ ხომ გარდაცვლილთა რიცხოვნებაზეა საუბარი და ამას თან ერთვის მათი გამოშიგვნა...

ნიურნბერგის პროცესზე ცალკეული მაღალი თუ შედარებით დაბალი რანგის პირთაგან გაისმა ფრაზა, რომ სისტემის მსხვერპლნი იყვნენ — საოცარია, მაგრამ ამჯერად საქართველოში იგივე ფრაზა ისმის...

რატომ იგვიანებს ქართული „ნიურნბერგის პროცესი?“

ქალბატონო ნინო, „ნაცსექტანტები“ როდესაც გაგინებენ, მაშასადამე, სწორი გზით მიდიხართ!

მეგი გოცირიძე გოდებდა: „თუ გადაშენების პირას მყოფ საქართველოს და ყოფილი ერების მომლოდინეთა რიგში ჩაწერილ ქართველ ერს როდესმე ეღირსება ეროვნული ხელისუფლება და კაცთმოყვარე, ჭეშმარიტად მორწმუნე, კაცთმოყვარე ქრისტიანი სინოდი საჭეთმპყრობელითურთ, სამშობლოსთვის წამებულ და გოლგოთაგამოვლილ მიხეილ სააკაშვილს წმინდანად შერაცხავსო“.

პოეტური „შედევრები“ და სიმღერა-ბალადები მიშაზე, არახალია, მაგრამ წმინდანობის საკითხი დარჩა გასარკვევი, უკრაინელებისგან მოიპარა გოჭივით ჭყვიტინა მეგიმ მიშას გაწმინდანების იდეა, თუ უკრაინელებმა მოჰპარეს ქართველ მიშამადიდებლებს „წმინდა მიხეილის“ უკრაინის მფარველ წმინდანად გამოცხადება — ორივე შემთხვევაში კლინიკური სურათი სახეზეა, მაგრამ მაინც საინტერესოა, შემდგომში საავტორო უფლებების გამო არ მოუვიდეთ უთანხმოება...

ისე კი, მიშას გაწმინდანების იდეას რომ ჩაუკვირდეს კაცი, ფაქტობრივად, აუცილებლად გარდაცვლილად ჰყავთ წარმოდგენილი და არა ცოცხლად. უპრეცედენტო წმინდანი კი ეყოლებათ — წმინდა მიხეილ არაჟანცხებული!

ახლა ისაა დასადგენი, 2 სმ თვითონ დაიკლო სიმაღლეში თუ დააკლეს, „რათა დიაგნოზი გაუყალბონ პარამეტრების შესანარჩუნებლად“, შესაბამისად, „წმინდა მიხეილ დამოკლებულიც“ შეიძლება დაერქვას...

ხალხს გასართობი მიეცა: „გეხსომებათ, სააკაშვილი უკრაინულ გადაცემა **Чернівецький промінь**-ში რომ ამბობდა, საქართველო, როდესაც მე იქ ჩავედი, ერთი კარიკატურული ქვეყანა იყო, სადაც ხალხი ულვაშებით დადიოდა (!!!) იცოდნენ ცეკვა-თამაში, სადღეგრძელოების თქმა და მეტი არაფერიო. ჰოდა, **Mikheil Saakashvili**, შენ მოგიTYან ახლადმოშვებული ულვაშებიო;

„ამ დორბლიანმა ჯერ ვარდები შემაძულა ვითომ „ვარდების რევოლუციის“ მერე, შემდეგ ყაყაჩო, თავიანთ მიერვე უპატრონოდ მიტოვებული დახოცილი ჯარისკაცების „დასატირებლად“ რომ მიიბნევდნენ ხოლმე გულზე ეს ფარისევლები წელიწადში ერთხელ; მერე უკრაინის დროშა შემაჯავრეს, ქართულ დროშას რომ ანაცვლებდნენ და დღეს უკვე შებოლილ ნეკნებზე ვთქვი უარიო...“

რა დროს ულვაშები და შებოლილი ნეკნებია, როცა ოსტაპ ბენდერზე დიდი კომბინატორი მაისურით გამოგვეცხადა, რომელზეც მიუწერინებია „მე უკრაინელი ვარო“ და ანდერძს ტოვებს: „... თუ მე ვერ ვიცოცხლებ, გული უნდა იყოს დამარხული კიევში, ის ეკუთვნის უკრაინასო.“

ამათმა პლაგიატობამ ხომ ცალკე წაიღო ტვინი — წმინდანობის იდეა არ გვქონდა მონელებული და ახლა ეს „ენმ“-ის თავმჯდომარ-ნათავმჯდომარი კალამბურობს, „დიდი ხაბეც“ ნაწევრდება: „ჩემი სხეული ეკუთვნის ჩემს სამშობლოს, სული — ღმერთს, ხოლო სისხლი — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასო“; მიშას „კვერცხებით“ უპირებს პუტინი დაკიდებას და „ხაბეზეც“ პუტინს აქვს თვალი დადგმული, მაგრამ ორივე შემთხვევაში ამაოდ, ჯერჯერობით ვერ ისრულებს წადილს.

„ხაბეს“ შეახსენეს, არწივზე მაღლა ასკარიდა და მახვილასაც შეუძლიათ აფრენა, თუ თვითმფრინავში მყოფი მგზავრის სწორ ნაწლავში არიანო, ხოლო „მიხეილ გასაწმინდანებელთან“ შეკითხვა აქვთ: თქვენ ჩვენის სიმულანტო, გულს თუ უკრაინას ჩუქნი, პირად მრევლს რა შენს „ავლადიდებას“ უტოვებ, ბავშვების საკეთებელ „სტანოკსო“?

იქით ნაცმრევლია გადარეული, ჩვენს პრეზიდენტს მისი ნების საწინააღმდეგოდ მოწყვიტეს თმა, ამით პუტინი მისი გენიალური „დეენემის“ შესწავლას აპირებსო. კი, დასტურ! ასე იქნება, რათა მიშას კლონი გააკეთებინოს და მერე პირადად აწამოს მოცალეობის ჟამს — უნდა „კვერცხებით“ დაჰკიდებს, უნდა — გარდიგარდმო გადაფენს...

ეს მთელი ნაცნაკრები ექიმთა ნაკრებს რომ გაასინჯო, ხომ დადებენ დასკვნას, ფსიქიკურად ჯანმრთელები და შერაცხადები არიანო. არადა, ნამდვილად სადავო საკითხია...

უკრაინელებიც რა დაცურებულები ყოფილან — იქ არ ჰყავდათ ეს ჩვენის სიმულანტი, ხან ქოჩრით რომ ათრევინეს სპეცნაზს, ხან სახურავ-სახურავ არბენინეს, ხან ჩაასველებინეს და ბოლოს განუბაჟებელ არაჟნად შემოგვატყუეს? რაო, არ გამოუვიდათ ჩანაფიქრი და უკან წაყვანა უნდათ? — მოიხადოს სასჯელი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოთვლილი და ისემც უქნიათ, უკრაინის დროშაზე გამოსახონ და ჰიმნსა და გერბშიც ჩაისვან...

ეს მამა-ძია ჩალაძეც გამოქანთარდა: „ვივამედი“ ამბობს, რომ ადამიანმა უნდა ჭამოს კალორიული საკვებიო და „იქითა“ მხარე, დაბალკალორიულ საკვებს ვინ ჩივის, ნივრიან პურსა და სოკოს შილაზე გაიბოტა, ვა, საცივის გასინჯვას კუჭ-ნაწლავის მწვავე გართულება მოჰყვა, საცივი მედპერსონალისთვის იყო განკუთვნილიო.

მამა-ძია, გადირიე, როტა? რას ამბობ, რომ სოფო ნიჟარაძის დედამ მედპერსონალის კუჭ-ნაწლავასატკიებელი საცივი მოამზადა სპეციალურად? თუ დაჭყლეტილნივრიანი პური სამკურნალო თვისებებისაა და საცივი მოწამვლის გამომწვევი — ჩამოყალიბდი, გერონტოფილ-ძმა!

გავიგეთ, რომ სიმულანტი პაციენტის თავისუფლების გასაღები მის ძალიან ცუდად ყოფნაშია, მაგრამ „აქტიროვკა“ სხვა რამეა, „ჟერსეი“ კი სხვა რამე, არცერთი სახელმწიფო არ მიჰყვება არანაირი თვითდაზიანების დროს ამგვარ ულტიმატუმს, თვითდაზიანება სასჯელისგან თავის არიდების საფუძველი რომ არ გახდეს.

ვიღაცამ დაწერა, სათესლე პარკი ლურსმნით მიიჭედოს და დავიჯერებ, გარეკილი რომ არისო.

ახლა თუ არის ასეთი რამ, არ ვიცი, მაგრამ ასე იყო: სიმულანტი პაციენტი, რომელიც სხვისი დარიგებით თუ თავისი გაგებით „რაღაცას აწვებოდა“, ერთი თვით გამოკვლევაზე მიჰყავდათ, დაუწერდნენ დასკვნაში „სს“ — სისტემატური სიმულანტი და, ჰაიდა, ციხეში! ახლა რატომ უგორებენ კოჭს ამ სიმულანტს და რატომ უსრულებენ ყველა აკვიატებას, ყოვლად გაუგებართან ერთად, უკვე აუტანელიცაა...

მართალი თქვა კახა კალაძემ, არანაირი ექსპერტიზა არ არის საჭირო, ერთი რამ არის გასაკეთებელი — მიშამ უნდა ჭამოს!

ნამდვილად, უნდა ჭამოს, მაგრამ კალორიული საკვები და არა დედიმისისა, ხომ ხედავს, ის არც აძლობს და თან ვნებს! მით უმეტეს, თუ ჭამა შეუძლია. მამაძაღლი, პირადად მე რომ ხახვიანი საჭმელი ქვაბებით დამიდგან, ან კაი მუჟუჟი მომიტანონ, ვიშიმშილებ, არ/ვერ შევჭამ და ამ თქვლეფია სიმულანტმა, რომელსაც შეეძლო, მთიან აჭარაში 3 კგ კაიმაღი ერთ

7 გვ.



# „ემპათიას" საქმიანობა უნდა აეკრძალოს!

## „ხებე" მხოლოდ პაიკია, მთავარი ფიგურა ლომჯარიაა. გიულისა და თემურის შექმნილ „პროექტს" ყავლი გაუვიდა

*გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:*

**— სააკაშვილის „შთამბეჭდავი" კადრების ხილვის მერე, ოპოზიცია ბობოქრობდა: მოსამართლე განაჩენის გამოსატანად რატომ მაშინვე არ გავიდა და მიშას სასჯელი არ გადაუვადაო.**

— მიშა საკუთარი ოჯახის მძევალია, რომელიც დედამ და ბიძამ პოლიტიკურ პროექტად აქციეს. სააკაშვილთან მიმართებით ღირსებაზე, თავმოყვარეობაზე, თუნდაც კაცობაზე ვერ ილაპარაკებ. რასაც ეტყვიან, უსიტყვოდ ასრულებს: დედიკო, აბა, ნეკნები აჩვენე; დედიკო, აბა, ბიძიებს „პასპორტი" აჩვენე. ასეთი რამ რომც გითხრან, როგორ უნდა გააკეთო, სირცხვილია.

9-წლიანი მმართველობის დროს სააკაშვილი თავისი ტრიბუნით დღე და ღამ ხან სად დარბოდა და ხან — სად. ახლა იგი პრეზიდენტი აღარ არის, საქართველოს მოქალაქეობაზეც უარი თქვა, სამშობლოდანაც გაიქცა, თუმცა, ქვეყნის მთავარ დღის წესრიგში მაინც „საპატიო" ადგილი უჭირავს. ადრე ვამბობდით: დავიბადე, გავიზარდე, დავბერდი და ისევ შევარდნაძის ეპოქააო. იგივე ხდება ახლაც — თაობები დაიბადნენ, გაიზარდნენ და ჩვენ ისევ სააკაშვილზე ვსაუბრობთ. ეს წყევლაა. მიშას სასამართლო პროცესებზე არაერთი სიცრუე, სუბიექტური მიდგომა, მანიპულაცია მოვისმინეთ. სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად საერთაშორისო კამპანია გაჩაღდა — ფოტიგები, კრამონები და სხვები „უდანაშაულო პოლიტპატიმრის" გათავისუფლებას მოითხოვენ. ვიოლა ფონ კრამონმა პირდაპირ განაცხადა: ფაქტები არ მაინტერესებს, რაც ვიხილე ისიც საკმარისიაო. დიახ, მან „დიაგნოზი" თმადაუვარცხნელი, ნეკნებგამოწეული, ლოყებჩაცვენილი მიშას დანახვით დასვა. სააკაშვილი საწოლში თავისუფლად მოძრაობს. ამ დროს ამბობენ, რომ ეტლის გარეშე ვერ გადაადგილდება! ნინო ნადირაძემ აღნიშნა: იმდენი ტყუილი თქვეს, ყველაფერი აერ-დაერიათ. ტყუილი რომ თქვა, ძალიან კარგი მეხსიერება უნდა გქონდესო. ასე როგორ უნდა გაიბანძო თავი, თან ასე ბრიყვულად, რომ პირდაპირ ეთერში ნეკნები გადმოყარო და სტრიპტიზი მოაწყო. ეს, სულ მცირე, სირცხვილია. სხვა თუ არაფერი, ქალიშვილების მამაა და მისი საქციელის გამო ბავშვებს ვიღაცამ რატომ უნდა დასცინოს. **მიკვირს, სააკაშვილის მსგავსი ადამიანი, უფრო სწორად მისი ოჯახი საქართველოს როგორ მართავდა. მიშა, საკუთარი ოჯახის მძევალია. გიული და თემურ ალასანიებმა მისგან პოლიტიკური პროექტი სახელწოდებით „სააკაშვილი" შექმნეს.**

**— როგორც ირკვევა, სააკაშვილი „ემპათიის" რეკომენდაციით იღებდა მედიკამენტებს, დაბალკალორაჟიან საკვებს და ა.შ.**

— ამას მარტივად მავნებლობა ჰქვია. „ემპათიისა" და მისი ხელმძღვანელის მავნებლური საქმიანობა ნელ-ნელა სააშკარაოზე გამოდის. იმედია, მალე ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა. არ შეიძლება, ექსპერტიზის საფარქვეშ ათას მავნებლობას სჩადიოდე. „ემპათიის" ხელმძღვანელმა დასკვნაში პირდაპირ ჩაწერა: სააკაშვილის ორგანიზმში რადიაქტიური ნივთიერებები იქნა აღმოჩენილიო. ეს სასამართლოზეც დაადასტურა. მიშა სკრიპალთან და ნავალნისთან გააიგივეს. საიდან მოიგონა ჯიშკარიანმა მსგავსი სისულელე, ჩემთვის გაუგებარია. ეს ექსპერტიზა კი არა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მავნებლობაა.

„ემპათიის" ხელმძღვანელი ყოველდღიურად გვაოცებს. ვინც ამ სფეროში მუშაობს, ყველამ იცის, რომ მოსამართლე დიდი ფიგურაა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეპასუხო. როცა იგი მოგმართავს, ფეხზე უნდა წამოდგე. ეს თეატრალიზებული სამართალწარმოებაა, სადაც მოსამართლეს მანტია აცვია და შემაღლებულ ადგილზე ზის. სასამართლო პროცესზე ყველას თავისი როლი აქვს. თქვენო ღირსებავ, — ასე მიმართავ მოსამართლეს. **ვფიქრობ, ჯიშკარიანი მსგავს პროცესზე პირველად იყო. მან არ იცის ელემენტარული: - მოსამართლეს არ უნდა შეეპასუხო, ჭკუა არ უნდა დაარიგო, კითხვა არ უნდა შეუბრუნო და ა.შ.** თუ შეკითხვა მიუღებელია, ადვოკატი მას მოხსნის. სასამართლო პროცესი ცალკე რიტუალია. ჯიშკარიანი ექსპერტობას იბრალებს. სად გაგონილა, დაკითხვის დროს მოწმეს ხელში ტელეფონი ეკავოს და მესიჯებს კითხულობდეს! მით უმეტეს, დაუშვებელია მოწმეს მისწერო მოსამართლეს რაც უნდა უპასუხოს. დაკითხვის დროს, როგორც წესი, ტელეფონს ჩანთაში ვტოვებ. ჩემთვის გაუგებარია, „ემპათიას" ამ ყველაფრის მერე ლიცენზია როგორ უნდა შეუნარჩუნდეს, ან საექსპერტო საქმიანობის უფლება გაუგრძელდეს! ჯიშკარიანმა პასუხი უნდა აგოს!

**— ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტს სასამართლოზე ჰკითხეს: საიდან იცით, რომ სააკაშვილს აწამებენო. მან უპასუხა: გიული ალასანიამ და თავად სააკაშვილმა მითხრესო.**

— დიახ, გაუგონარი ამბები ხდება. მაგალითად, აღინიშნა, რომ ექსპერტ ერიკ დევიდ გოლდ სმიტის მსჯელობა ძალიან გულუბრყვილო იყო. გასარკვევია, ეს ექსპერტი მართლა ასეთი გულუბრყვილოა თუ დაინტერესებული მხარეა. **უცხოეთში, პოსტსაბჭოთა სივრცის გარდა, მეცნიერული სასამართლო მედიცინა არსად აქვთ. ეს ჩვენი უზარმაზარი მონაპოვარია. მეტიც, ამერიკაში, საერთოდ, ცოცხალ პირთა**



**ექსპერტიზა არ არსებობს! ჩვენ კი გვაქვს და ამის დანგრევის უფლება არავის უნდა მივცეთ**. ეს ობიექტურობისა და სამართლიანობის განმაპირობებელია. სააკაშვილის სასამართლოზე უცხოელი ექსპერტები სრულ სიყალბეს აჟღერებენ. ჩვენი კანონმდებლობა დაუსაბუთებლობას არ სცნობს. აქვე ერთსაც გეტყვით: ექსპერტმა, ელემენტარულად, სასამართლო სხდომაზე ტერმინოლოგია არ უნდა გამოიყენოს. ექიმი იქნება თუ ფიზიკოსი, იმ ენაზე უნდა ილაპარაკოს, რაც იურისტს, მოსამართლეს ესმის. როცა გამოიყენებ ტერმინს — დემენციას, იქვე უნდა განმარტო, რომ ეს ჭკუასუსტობაა. სამედიცინო ტერმინოლოგია შემოიტანეს ექიმებისთვის, რათა მათ ერთმანეთში საუბრისას პაციენტი არ დაეთრგუნათ. ექიმების პაციენტის საწოლთან საუბრის შინაარსი, სხვამ ვერ უნდა გაიგოს. ეს ცალკე ენაა. სამედიცინო ტერმინოლოგიით სასამართლოში საუბარი არ შეიძლება. რა გამოდის, მოსამართლეს უმალავ?!

**— რამდენიმე დღის წინ ჟურნალ „ატლანტიკში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწერა: მძიმე მეტალების აღმოჩენა სააკაშვილის ორგანიზმში სხვა არფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ დასპონსორებული დანაშაულებრივი განზრახვა. მიშას ნელი სიკვდილით კლავენო.**

— სად არის აქ სიმართლე? დასავლური ღირებულებების დევალვაცია სწორედ ამიტომ ხდება — ასეთი წერილის წაკითხვის შემდეგ, რაღა უნდა დაიჯერო. ამ დროს, სააკაშვილის ორგანიზმში ნორმაზე მაღალი არცერთი მეტალი არ აღმოჩენილა. არც აქ და არც დასავლეთში სიმართლე არავის აინტერესებს, არამედ მხოლოდ ბოლს უშვებენ და ემოციებზე თამაშობენ. საზოგადოება იმდენ ტყუილებს ისმენს, რომ ე.წ. დასავლური ღირებულებები აღარ ხიბლავს. მინდა გითხრათ, რომ პოსტსაბჭოთა ადამიანი, საბჭოთა განათლებიდან გამომდინარე, ძალიან განათლებულია და მასთან ვერცერთი ზოგადგანათლებამიღებული დასავლელი ახლოსაც ვერ მოვა. მათ შეიძლება საკუთარ სპეციალობებში ახალი ტექნოლოგიები ჰქონდეთ ათვისებული, მაგრამ სათანადოდ განათლებულნი მაინც არ არიან, განსაკუთრებით, ამერიკელები. კელი დეგნანის ზოგადი განათლება, ნებისმიერი საშუალო სტატისტიკური ქართველის განათლებასთან შედარებით, არაფერია. მერე უკვირთ, რატომ შტერივით არ იჯერებ იმას, რაც გითხრეს, რატომ არ ყლაპავ იმ აბს, რომელიც მოგაწოდეს და ა.შ.

**— ამიტომაც ვერ დაგვაჯერეს, რომ მიშა წამებული პოლიტპატიმარია. ამ სიტყვის დეფინიცია სააკაშვილის შემთხვევაში აშკარად დარღვეულია. რა შედის წამებაში: მას ურტყამენ, დაბმული ჰყავთ, აშიმშილებენ?**

— გავიხსენოთ ჯორჯ ორუელის „1984", სადაც ტყუილი სიმართლეა, ომი — მშვიდობა. სააკაშვილის ქმედებაზე კომენტარის გაკეთება ძნელია. კომუნისტების დროს გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია, უტყუარი სიმართლე იყო. ახლა პირიქითაა. ჩვენ მაშინაც გვეცინებოდა და საბჭოთა კავშირის დროს თავს მოხვეულ ბევრ დოგმას კრიტი-





11 გვ. →



# მიშა სასჯელს იხდის, „ხეზე“ – „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეა: РАЗВЕ ЭТО НОРМАЛЬНО?

4 გვ.

**— ბატონო პეტრე, ნაცმო-ს რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 42 ათასმა პირმა მიიღო. სად გაქრა ნახევარ მილიონზე მეტი ამომრჩეველი?**

— მიშას ციხიდან გამოხსნის გამო, წესით, გაცილებით მეტ ადამიანს უნდა მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. არადა, მხოლოდ 50 ათასი დარეგისტრირდა. ეს მიზერული რაოდენობაა, რადგან **მიშას არჩევნებში ხმას ნახევარ მილიონამდე ამომრჩეველი აძლევდა. მათ არ გაიარეს რეგისტრაცია, რადგან კანდიდატებს შორის მიშა ვერ დაინახეს.** სიის ნომერი პირველი ცნობილი ბუბა კიკაბიძე, მიშასთან ასოცირდებოდა. სოფო ნიჟარაძესაც რომ მიეღო მონაწილეობა, მასაც მიშად აღიქვამდნენ, მეტიც, უკონკურენტო იქნებოდა. მაგრამ ეს კანდიდატები მასთან არ ასოცირდებოდნენ.

**— მის წამებაზე რას იტყვით?**

— „შპიგელმა“ სააკაშვილს დაწერილი შეკითხვებით მიმართა. მან პასუხები თავის ხელით დაწერა და მერე გიულიმ აკრიფა. ერთ-ერთი შეკითხვა ასე ჟღერს: რაში მდგომარეობს, რომ ნაწამები ხართო? მიშა პასუხობს: საკანში ჩემს გარშემო პატიმრები ხმაურს რომ ტეხენ და ანგარიშსწორებას მოითხოვენ, მე რადიოს ვუწევ, რომ ეს ხმა არ გავიგონო, განა ეს წამება არ არისო. კი მაგრამ, ეს როდის ხდებოდა? — 10 თვეა საავადმყოფოშია. მერე თქვა: კარცერში მროზგავდნენ, ესეც ხომ წამებააო. საერთაშორისო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მოწამლული ვარ, ესეც ხომ წამებააო. ეს მიშას ტყუილების ამაზრზენი კორიანტელია. როგორც ყველა ფსიქოპათი, მიშაც პათოლოგია.

**— ევროპარლამენტში გამართულ დებატებზე რას იტყვით?**

— საჭიროა ინტენსიური და სწორი მოქმედება, რადგან სიმართლე საქართველოს ხელისუფლების მხარესაა. ეს ის შემთხვევაა, როცა ლობისტური კამპანია აბსოლუტურ ტყუილზეა დაფუძნებული. მათ საუბარსა თუ გამოქვეყნებულ რეზოლუციებში 1% სიმართლეც არ არის. კაცს ფუფუნებაში ამყოფებენ, ჩიტის რძე არ აკლია, პერსონალს ატერორებს, ყირაზე გადადის და გვეუბნებიან: აწამებთო. ყველაფერი სიცრუეზეა აგებული. ერთ-ერთი ექსპერტი კობი, რომელზეც ამბობენ ნობელიანტიაო, იგი ცოტა ხანს მუშაობდა ორგანიზაციაში, რომელიც მსოფლიოში გაბნეულ ნაღმებზე აფეთქებულ ადამიანებზე ზრუნავენ. კობი იქ როგორც რიგითი ორთოპედი, ისე მუშაობდა. ამ ორგანიზაციას და პირადად მთავარ კოორდინატორ ქალბატონს ნობელის პრემია მიენიჭათ. **იმის თქმა, რომ კობი ნობელიანტია, სირცხვილია. იგი ახლოსაც არ არის ამ სტატუსთან და ნობელიანტად არც არავის წარუდგენია. მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი მშვიდობის დარგში სამგზის ნობელის პრემიის ლაურეატია. მაგრამ არცერთ მუშაკს თავში აზრად არ მოუვა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატობა დაიბრალოს.** სასამართლო სხდომებზე საოცრებები ხდება. ერთ-ერთ უცხოელ ექსპერტს სასამართლოზე ჰკითხეს: ვინ გითხრათ, რომ სააკაშვილი ნაწამებიაო? — დედამისმა და თავად მან მითხრაო. ეს ყველაფერი სასაცილოა. დასავლეთის პრესა ამ გაგონილ ამბებს წერს. იქ ამ ექსპერტს არავინ ეკითხება, საიდან დაასკვენი, რომ მიშა ნაწამებიაო. იქ ეს ინტერესი არ არის. დიახ, იქ პირდაპირ წერენ: ექსპერტმა განაცხადა, რომ აწამებენ. ექსპერტი ტყუილს ხომ არ იტყოდაო და აი, ასე ისმება დიაგნოზები წამებაზე, პოლიტპატიმრობაზე და ა.შ.

**— რა საფუძვლები არსებობს სააკაშვილისთვის სასჯელის გადასავადებლად?**

— რასაც თვალს ვადევნებთ, ეს არის არაადეკვატური ადამიანის მიერ მიყენებული თვითდაზიანება. თუნდაც პატიმარმა საკანში თავი მოიკლას, ამაზე ხელისუფლებას პასუხისმგებლობა არსად ეკისრება. გავიხსენოთ ტერორისტული ჯგუფის „წითელი ბრიგადების“ საქმის განხილვა. ამ ტერორისტებმა თავიანთ ქვეყანას იმდენი ზიანი ვერ მიაყენეს, რაც სააკაშვილმა საქართველოს დამართა. მათ შიმშილობა გამოაცხადეს. ხელისუფლებამ, სასამართლომ არ დაუთმო და ყველანი საკანში აღმოჩნდნენ, ზოგმა იქვე მოიკლა თავი. ისინი ნამდვილად შიმშილობდნენ და ამის გამო ზოგს მხედველობა აღარ აღუდგა... რამდენიმე დღის წინ „ვივამედის“ დირექტორმა თქვა: გაუგონარი რამ ხდება — სააკაშვილი იმ ინსტრუქციებს ასრულებს, რასაც „ემპათია“ აძლევსო. ფსიქიატრმა კვების რეჟიმი როგორ უნდა დაუწესოს? ნინო ნადირაძემ სასამართლოზე თქვა: საკვების კალორაჟი საკმარისი არ არისო. იგი ჭამს იმას, რაც დედამისს მიაქვს. ეს არის მაღაზიაში ნაყიდი ცივი საკვები. ამიტომაც ვერ იმატებს წონაში, ეს მისი ჯანმრთელობის გამოსასწორებლად საკმარისი არ არისო. გიულისაც კარგად ვიცნობ, თემურ ალასანიასაც და მიშასაც. ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება. კერძოდ, დედა ამბობს: მე მიმაქვს ის, რასაც მიშა მთხოვსო. გესმით? ეგ დედაა? მიუტანოს მეტი, იქნებ, შეჭამოს. ან ის მაინც თქვას: ვეუბნები მიშას, ჭამე, თავს მიხედე და არ მიჯერებსო. ამას არ ამბობს. დედას არ მიაქვს საჭმელი და შვილს აბრალებს: მიშას არ უნდაო. მე ხომ ვიცი, ოჯახში მის მიმართ როგორი დამოკიდებულებაა — მკვეთრად უარყოფითი, სიძულვილით აღსავსე: შეგვჭამა, ბავშვობიდან გაგვამწარაო. ერთადერთი ბებია იყო, რომელიც მას უვლიდა. იგი ხედავდა, რომ მიშა ავადმყოფი იყო.



**— გინდათ თქვათ, რომ გიული ალასანიას შეგნებულად არ მიაქვს მიშასთვის ნორმალური საკვები?**

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, შეგნებულად არ მიაქვს.

**— ანუ, შვილის გამოჯანმრთელება არ უნდა?**

— დიახ, მიშას გამოჯანმრთელება არ უნდა. მიშა მათთვის ყოველთვის დიდი ტვირთი იყო. თემურ ალასანია ამბობდა: რა ვუყო ამ ჩემ გიჟ დისშვილს, რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდეო. როცა მიშა პოლიტიკაში აღზევდა და პრეზიდენტი გახდა, 30-მდე ობიექტი და უზარმაზარი მიწის ფართობი დედამისს გადასცა. ისინი მულტიმილიონერები არიან. ცალკე ბიძამისი ერთვებოდა ყველა ბიზნესში მშენებლობის, ტრანსპორტის და ა.შ. ასე იხეირეს. **ახლა ეს ყველაფერი დამთავრდა — მიშა ოქროს კვერცხებს აღარ დებს და ვერც დადებს. ჰოდა რაღაში სჭირდებათ?**

თამარ შველიძე
555 23 28 24

# გაიტანეთ „გრენლანდია!“

5 გვ.

ჭამაზე ეჭამა (რის გამოც შეუძლოდ გახდა და კინაღამ ცემაში გახეთქეს მზარეული, მოწამლეო), ახლა ბაჭიასავით 3 ფურცელ სალათს, 1 კვერცხს, გაბლიგვებული მჭადსა და დაჭყლეტილ ნიორს ატენიან, რომ არ შეჭამს და არც გადაუვა ყელში, რა უკვირთ?

სამიოიდე დღის წინ გვახარეს, 400 გრამი მოიმატაო, მაშასადამე, მოკვდინება გადაიდოო, ვიფიქრეთ, მაგრამ ვინ გაცალა სიხარული? დედა-გიული გამოენთო აღშფოთებული: რაც აქამდე მომქონდა, ისევ ის საკვები მოვიტანე იმავე რაოდენობით და რატომ აქვს წონაში მატებაო. ნეტავ, ვინ რა გემრიელობა შეაწია, ვინ იზრუნა მის კვებაზე, ისევ ეკა ხერხეულიძემ მოისხა მისი კუჭის მადლი? — რა სამარცხვინოა ეს ტიპი ცალკე და ეს კოჭისმგორებელი სასჯელაღსრულებითი სისტემა კიდევ ცალკე.

გამაგებინეთ, ღმერთი არ გწამთ? კიდევ რომელ ქვეყანაში არიან ასეთ მდგომარეობაში „ყოფილები“?

არადა, მაგრად დაემგვანა ჩემს ნაცნობ ცნობილ მეჯღანე სურენას წვერგაუპარსავი და თმადასავარცხნი, ლამის მივესალმო ხოლმე, სურენჯან, ვონცეს? სურენაც ისეთი გაჩხინკული იყო, ზაფხულში ნეკნებს დაუთვლიდი ჩაცმულზე, მაგრამ ის შიმშილობას არ აცხადებდა, გადასარევი მადა ჰქონდა — „ონტკა“ სჭამდა შიგნიდან...

ეს ყოველმხრივ აფერისტები!

ჯერ ხომ ვანო-ბლუსა და ადეიშვილზე გვატირა ამ სიმულანტმა, გაღლეტილები არიანო და ახლა თვით ეს სიმულანტიც მიემატა გაღლეტილებს, დედა-გიულის ვითომ ბინა უნდა გაეყიდა, რომ ადვოკატების ჰონორარის ფული ჰქონოდა და ახალი კონტრაქტი გააფორმა ლობისტურ კომპანიასთან. პირველ ეტაპზე 30.000-დოლარიანი ორთვიანი კონტრაქტი დაიდო, შესაბამისად, უახლოეს მომავალში ახალ-ახალი შეკვეთილი სიუჟეტების რიცხვი გაიზრდება და გაგრძელდება ეს ყელში ამოსული „სურენას“ ნეკნების დათვლა. პირჯვარი ვიწეროთ, ორსანტიმეტრიანი კლება, სიმაღლის გარდა, სხვაგან არაფერში აღმოუჩინონ...

რეანიმაციაში გადაყვანაზე უარს ვინ ეტყოდა, ყველაფერს უსიტყვოდ უსრულებენ, მაგრამ რომ გაიგო, იქ მნახველებს ვეღარ მიიღებდა, გადაიფიქრა. არადა, რა კარგად გაისმებოდა: „მიხეილ სააკაშვილი რეანიმაციაში იქნა გადაყვანილი“ და აჟივჟივდებოდნენ, აი, ხომ ვამბობთ, კვდებაო. „გინეკოლოგიაშიც კი მოვათავსებთ, ოღონდ მკურნალობაზე დაგვთანხმდესო,“ — განაცხადა ქალბატონმა ნინომ,

მოკლედ რომ ვთქვათ, ქალბატონმა ნინომ ისე მწარედ დაახურა თვით სიმულანტ „სურენას“ და მის დამქაშ აფერისტებს ექიმ-დედა-მამა-ძია-ადვოკატებს, მგონი, იმ ღამეს ძილი არ მიეკარათ, ქერათმიანი ალქაჯი ესიზმრებოდათ...

აშიმშილეს და აგლახავეს ეს ჩვენის მანდელა კეთილისმსურველმა კეთილებმა და სულ ტყუილად, არ გაისროლა ყარაულის თოფმა, „სვაბოდაზე“ ვერ გავარდა — წამოდექი აწი და ჭამე თქვენ ჩვენისავო.

ჯავრიან გულზე რა ჭამა და რა სვა ნაშიმშილებმა „საწმინდანომ“ უცნობია, მაგრამ ისეთი სიმძლავრით იქუხა სიკვდილის პირას მყოფმა მიშამ, ახლა ბრძოლის დროაო, რუსეთს არ დავუთმობთ საქართველოსო, ციმბირში ნუში აყვავდა......

ახლა გაილალონ და ზოგი ზელენსკისთან წავიდეს საჩივლელად, ზოგი — კელი დეგნანთან, დანარჩენებმა თავზე ნაცარი წაიყარონ და ნაპოლეონ სანიკიძეს უპწკინონ ფრიად მიუწვდომელ ადგილზე...

კარგი იყო!

ძლივს ერთი შეუდრეკელი პირშიმთქმელი ხომ გამოჩნდა ქალბატონი ნინოს სახით და ახლა პირუთვნელი მოსამართლეც დაერთო პატივსაცემი გიორგის სახით!

გაიტანეთ „გრენლანდიად“ ქცეული სიმუიანტი „ვივამედის“ კარცერ-ლუქსიდან და ჩადეთ სხვა პატიმრებთან ერთად „საერთო რეჟიმში“, ნახეთ, როგორ მოფერიანდეს...

თქვენი არ ვიცი და, მე ლამის უკვე პირსაქმება დამეწყოს არა მხოლოდ მის დანახვაზე, მის შესახებ კალმის მოქნევაზეც კი...

აი, თქვენ კი დაგეწოთ დებატები ევროპარლამენტში სააკაშვილის შესახებ!

ზურაბ ოშხერელი



# რუსეთთან ურთიერთობის ქვაკუთხედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა

## ომის დაწყებამდე, უკრაინასთან ერთად საქართველოსა და ყაზახეთში შემოჭრაც იგეგმებოდა



*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე ანგარიში გამოაქვეყნა. იმსახურებს თუ არა ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსს?**

— ვფიქრობ, აქ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მნიშვნელოვანი. დაწესებული რეგულაციების პრინციპით თუ მივუდგებით, მაშინ კანდიდატის სტატუსს არც უკრაინა, არც საქართველო და არც მოლდოვა არ იმსახურებენ. მოლდოვაზე ამ კუთხით ლაპარაკიც ვერ იქნება. ის, პრაქტიკულად, სახელმწიფო არც არის. უკრაინა ომის მდგომარეობაშია. ზოგადად, **დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას ჭკუა რომ ჰქონდეს, სამივე ქვეყანა ყოველგვარი პირობების გარეშე ევროკავშირში უნდა მიიღოს. კანდიდატის სტატუსი კი არა, პირდაპირ წევრობა უნდა მოგვცენ.** დღეს ევროპულ პოლიტიკაში აღარ არიან ტეტჩერის, ჩერჩილის, დე გოლის რანგის პოლიტიკოსები, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკის წარმოება შეეძლებათ. ევროპულ პოლიტიკაში ადამიანების დიდი უმრავლესობა სხვა საქმეში ხელმოცარულია. მსოფლიო პოლიტიკაშიც იგივე მდგომარეობაა. მაგალითად, კრემლის მესვეურთა ქმედებებს რომ ვუყურებ, გაოცებული ვარ, ისეთ შეცდომებს უშვებენ. ასევე, აშშ-ში. ჩინეთმაც კი, მიუხედავად ტრადიციული მიდგომებისა, ბოლო ყრილობაზე შეცდომები დაუშვა. ასე რომ, დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე, სტატუსის მონიჭება საკამათოც არ უნდა იყოს. რა დროს 12 ან 27 პუნქტის შესრულებაა. საქართველომ ეს პუნქტები ზედმიწევნითაც რომ შეასრულოს, მთავარი ეს არ არის. დასავლეთისთვის უმნიშვნელოვანესია შავი ზღვის აკვატორია. აღმოსავლეთ სანაპიროს გარეშე მისი კონტროლი ვერ მოხდება. თუ დასავლეთს სურს, ამის საშუალება ჰქონდეს, მაშინ საქართველოს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა იყოს. სხვათა შორის, ბრიტანელები, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში შეცდომებს უშვებენ, ამ თვალსაზრისით თანმიმდევრულები არიან და სწორი მიდგომა აქვთ.

**— ევროკომისია პოლიტიკურ ნაწილს თუ დაეყრდნობა, როგორ შესრულდება მოთხოვნები: პოლიტპატიმრების გათავისუფლების, დეოლიგარქიზაციისა და დეპოლარიზაციის კუთხით?**

— დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით თავად დასავლეთის რიგი ქვეყნების, მათ შორის, აშშ-ის მიმართაც, სერიოზული პრეტენზიების გამოთქმა შეიძლება. **ფაქტები თუ არ მოგვყავს, ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიცით, ვინ რას აკეთებს.** გარდა ამისა, ევროკავშირში შემავალი ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ვერც ოლიგარქიის და ვერც პოლიტპატიმრების ნაწილში. ასევე, სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყნებში კრიმინალი ქვეყნების ეკონომიკის ნაწილს ქმნის. 12 პუნქტის შესრულება ყბადაღებული მიზეზია, რათა დღევანდელი ხელისუფლების, საქართველოს დისკრედიტაცია მოხდეს. რა გახდა ერთი პატარა საქართველო, რომელიც ვითომ ისეთ პრობლემას ქმნის, რომ ევროკავშირს მისი მიღება არ შეუძლია?! ქვეყანა, რომელიც ევროკავშირს შიგნით განუწყვეტლივ პრობლემას უქმნიდა, პოლონეთია, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებას გადასარევად ახერხებენ. თუმცა, ის სერიოზულ პრობლემას უქმნის ევროკავშირს გინდა ეკონომიკური, გინდა პოლიტიკური კუთხით. რაც შეეხება საქართველოს, ევროკავშირმა პოლიტიკური ნება უნდა გამოიჩინოს. რასაკვირველია, ქართულმა მხარემ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას, ბევრი რამ მოაწესრიგოს. რაც შეეხება დეოლიგარქიზაციას, ეს სასაცილოა.

**— როგორც ჩანს, ვენეციის კომისიის დასკვნა და ჩვენი კანონი დეოლიგარქიზაციის შესახებ სადავო გახდება...**

— გადავხედოთ საქართველოს საზოგადოების პოზიციას. უმრავლესობა პოლიტიკისგან დისტანცირებულია. ხალხს აინტერესებს რეალური განათლება და არამხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა. მას არ მოსწონს პატრიოტიზმის თემის ნიველირება. ასევე, მოსაგვარებელია სოციალური საკითხები. ამ დროს გაუთავებლად 12 პუნქტის შესრულებაზე ვლაპარაკობთ. ეს სპეკულაციის თემაა. მავანი ცდილობს, პოლიტიკური იმიჯი შეიქმნას არა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. დიახ, ჩვენ პოლიტიკოსების დიდი ჯგუფი გვყავს, რომელიც პოლიტიკას და პოლიტიკურ კარიერას საქართველოს ფარგლებს გარეთ იკეთებს. ეს პარადოქსია.

კი ბატონო, ჩვენ დასავლეთის გზის ალტერნატივა არ გვაქვს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იქ ყურით შეგვათრიონ. ჩვენ გარკვეული ტრადიციული ფასეულობები გაგვაჩნია. როცა ევროკავშირი იქმნებოდა, თავდაპირველად, გასაწევრიანებელი ქვეყნების მიმართ ასეთი მოთხოვნები არ ჰქონდათ და ბევრი მათგანი იქ მარტივად შევიდა. მაშინ ევროკავშირში გაწევრიანების ბევრად მოქნილი სისტემა იყო. რიგი საკითხები, რასაც დღეს გვთხოვენ, ყურით მოთრეული, სასაცილოა. ამას უბრალო ხალხიც ამჩნევს. ამიტომ საზოგადოება 12 პუნქტის შესრულებაზე საუბრის მოსმენით ქართული პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილის უსაქმურობით და ბავშვური ჭირვეულობით დაიღალა.

**— კარასინმა აბაშიძესთან საუბარში აღნიშნა, რომ გაზრდილი ტვირთბრუნვის გამო შესაძლოა განიხილონ არსებული გზების მოდერნიზაცია ან ახალი გზის მშენებლობა რუსეთ-საქართველოს შორის. რა საფრთხის მატარებელია, ჩვენთვის, რუსეთისთვის ირანთან დამაკავშირებელი ახალი გზის გახსნა?**

— ნებისმიერი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს. აქამდე სტაბილურობის შენარჩუნება მაქსიმალურად შევძელით. ნებისმიერი ზედმეტი მოძრაობა საქართველო-რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების გააქტიურების მიმართულებით, ხიფათის შემცველია. კი ბატონო, ნაწილობრივ დამოკიდებული ვართ რუსეთთან ვაჭრობაზე, მის ენერგომატარებლებზე, ტურიზმზე, მაგრამ ასევე, ძალიან დამოკიდებული ვართ დასავლეთზე, რომლისგანაც ვიღებთ სესხებს, გრანტებს და სერიოზულ პოლიტიკურ მხარდაჭერას. მოკლედ, დილემის წინაშე ვართ. რასაკვირველია, ხელისუფლების პოზიცია საქართველოს ომში ჩართულობასთან დაკავშირებით აბსოლუტურად სწორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთისა და უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მასზე ზეწოლას ახორციელებდა. ხელისუფლებამ მაქსიმალური წინააღმდეგობა გაუწია ამას, რაც სწორი ნაბიჯი იყო. ამ შემთხვევაში ბარიკადის ორივე მხარეს ვგულისხმობ. თუმცა დასავლეთის მიმართ სწორი წინააღმდეგობის გაწევა როდი ნიშნავს, თავს უფლება მივცეთ და რუსეთთან ურთიერთობები გავააქტიუროთ, თუნდაც ეკონომიკური. ეს მართებული არ იქნება, მით უმეტეს, ახალი გზის მშენებლობა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ირანი რუსეთისთვის უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში იარაღის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელია. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს.



**— დეგნანმა აღნიშნა: ქართველ ხალხს რუსეთთან დაახლოება არ სურს, ასეთი მაგისტრალების მშენებლობა საქართველოსთვის სასურველი არ არისო.**

— რუსულ-ქართულ დიალოგში მონაწილეობა ხშირად მიმიღია. კარგად მახსოვს, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რუსეთის მიდგომების შეცვლას ვერასდროს ვახერხებდით. **თუ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის გადაწყვეტის პროცესი არ დაიწყება, მიმაჩნია, რომ რუსეთის მიმართ ზედმეტი აქტივობის გამოჩენა არ შეიძლება.** მით უმეტეს, რომ დღეს მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშეა. ჩვენს სამეზობლოში ყველგან საკმაოდ რთული, დაძაბული ვითარებაა. ირანში სახალხო გამოსვლებია, საელჩოებზე ტერორისტული აქტები განხორციელდა. ირანის სამხედრო ობიექტები ისრაელის მიერ იბომბება. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი ვითარებაა. თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნებია. ერდოღანი მაქსიმალურად ცდილობს, მზის ქვეშ საუკეთესო ადგილი დაიკავოს. მას რეგიონული ლიდერის ამბიციები აქვს. პრაქტიკულად, ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებს შორის თურანისტული კავშირი უკვე ჩამოყალიბდა, რამაც არამხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმა მიიღო, არამედ, გარკვეულწილად, სამხედროც. საკმაოდ მყიფე მდგომარეობაა ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ ბოლო ხანებში, სხვადასხვა ქვეყანაში 7, 15, 28 და 31 იანვარს ცალკე ინგუშების, ცალკე ჩერქეზებისა და ცალკე საერთოკავკასიური კონფერენციები გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ როგორც ემიგრაციის წევრები, ისე ტრადიციული დიასპორის წარმომადგენლები თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასე რომ, უაღრესად რთული ვითარებაა და ამ დროს რუსეთთან ზედმეტი რევერანსები სწორი არ იქნება. მით უმეტეს, რომ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ მიდგომას არ ცვლის.

**— ახალი გზის მშენებლობამ შეიძლება დასავლეთის მხრიდან აგრესია გააღვივოს...**

— რა ახალი გზის მშენებლობა აუტყდათ?! რომელი გზა უნდა ააშენონ? ფიზიკურად სად უნდა გაიაროს ამ გზამ? შემოვლითი გზა, რომელიც რუსეთსა და საქართველოს დააკავშირებს, ისედაც შენდება. რუსები მხოლოდ თავიანთი ინტერესებიდან გამოდიან. ეს რუსული პოლიტიკის თვისებაა.



**— პარალელურად, განახლდა საუბარი 3+3 ფორმატზე —**





**რეგიონში ახალი კავკასიური პლატფორმის შექმნაზე, სადაც ექვს სახელმწიფოსთან ერთად, საქართველო და რუსეთიც მოიაზრება...**

— სხვათა შორის, ამ ფორმატში ჩვენი ნების გარეშე ვიყავით ჩართული. მოსკოვში ძალიან კარგად იციან, რომ 3+3 ფორმატის ამოქმედება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სომხეთი რუსეთისგან ყოველდღიურად დისტანცირდება. რუსეთთან და თურქეთთან დაკავშირებულ ფორმატებს სომხეთი მისი პრობლემების მოგვარების გზად არ მიიჩნევს. ანუ, იგი ამ პროცესში არ ჩაერთვება. სომხეთი მხოლოდ დასავლეთზეა მთლიანად ორიენტირებული. პლუს, თურქეთს არ აქვს ახლა დრო იმისთვის, რომ რუსეთთან ასეთი ტიპის ურთიერთობების სისტემა განაახლოს. ერდოღანის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება ძალიან ნიშანდობლივი იყო. მან საფრანგეთის პრეზიდენტი გააკრიტიკა და თქვა: მაკრონი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აფრიკის დიდ ქვეყნებს (საფრანგეთის ყოფილ კოლონიებს) მდგომარეობა გაუუარესოს და, შედეგად, საფრანგეთმა იქიდან ფეხი ამოიკვეთოსო. რაში აინტერესებს ერდოღანს, რა ხდება, მაგალითად, იგივე, ბურკინა ფასოში?! მან მაკრონზე პირდაპირ თქვა, რომ მას პრეზიდენტის სკამი არ უნდა ეკავოს. ბურკინა ფასოს ოქროს საბადოებს აქამდე ფრანგული კომპანიები ამუშავებდნენ. ამ შემთხვევაში, ფრანგებს რუსები ჩაანაცვლებენ. მან ვაგნერის ხალხი დაასახელა. ვაგნერის დაჯგუფება არამხოლოდ სამხედრო ორგანიზაციაა, არამედ ეკონომიკურიც. ანუ, ეს ხალხი ფრანგებს ჩაანაცვლებს და რუსები აფრიკაში შევლენ. გარდა ამისა, ერდოღანს განა სცალია 3+3 ფორმატისთვის, როცა არჩევნები კარზე აქვს მომდგარი. რა დროს ამ ფორმატზე საუბარია, ამით რა შეიცვლება — ყარაბაღის პრობლემა გადაიჭრება, სომხეთის თუ რა? ამ ფორმატში მონაწილეობა ჩვენც არ გვაწყობს. საქართველოს ხელისუფლებამ ადრე განაცხადა კიდეც, რომ ამ ფორმატში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ მასში წარმოდგენილი არ იქნებიან დასავლური სამყაროს ლიდერები, პირველ რიგში, აშშ.

**— ლავროვმა განაცხადა: დასავლეთს სურდა, საქართველო გამაღიზიანებელ ფაქტორად გადაექციაო. რას უკავშირდება ეს განცხადება?**

— რუსეთი ცდილობს, შექმნილი ვითარებით ისარგებლოს — მაქსიმალურად მოახდინოს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის დისკრედიტაცია. ამით სამომავლოდ თავის საქმესაც გაიკეთებს, თან დასავლურად ორიენტირებულ ქვეყნებს შორის განხეთქილებასაც დათესავს. ლავროვმა კარგად იცის, როგორია რეალობა. ჩვენმა საზოგადოებამ ამ განცხადებების არსი სწორად უნდა გაიგოს: ეს კეთდება არა იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთს „დაუწვა“, არამედ იმისთვის, რომ შექმნილი მდგომარეობა გამოიყენონ და ნაპრალი საქართველოს, იგივე, სომხეთსა და დასავლელ პარტნიორებს შორის, რაც შეიძლება უფრო გააღრმავონ. ვიმეორებ: საქართველოს ომში ჩართვის თემა აქტუალური იყო არამხოლოდ დასავლეთიდან, არამედ რუსეთიდანაც. **უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რა დროსაც უკრაინაში შეჭრის საკითხი წყდებოდა, ლაპარაკი იყო არამხოლოდ უკრაინაზე, არამედ საქართველოსა და ყაზახეთზეც. პატრუშევმა თქვა: რადგან ამ ნაბიჯით მაინც დისკრედიტირებულნი ვიქნებით, მოდი, პოსტსაბჭოთა სივრცე მოვასუფთავოთო.** ამ კონტექსტში ყაზახეთი და საქართველო ახსენა. ამას წინააღმდეგობა გაუწიეს უშიშროების საბჭოს რიგმა წარმომადგენლებმა, მათ შორის, ნარიშკინმა. შედეგად, მიდგომები შეიცვალა და აქტუალური უკრაინის საკითხი გახდა. აქედან გამომდინარე, არ მჯერა, რომ ერთი წლის წინ რუსეთის ხელისუფლება სხვას ფიქრობდა და ახლა აზრი შეიცვალა. თუ რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის შეცვლა და მეგობრულ რელსებზე გადაყვანა სურს, მაშინ, პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე უნდა დაფიქრდეს.

**— ოპოზიციამ ლავროვის განცხადებებიდან დასკვნა გამოიტანა: პუტინი სააკაშვილს არ პატიობს, რომ საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრის გახსნასა და ათასამდე რუსი სამხედროს მუდმივ ბაზირებაზე უარი უთხრა და ამიტომ არის მისი პატიმარიო...**

— არავითარი პუტინის პატიმარი სააკაშვილი არ გახლავთ. მაშინ მიშამ რუსეთი მოატყუა. საბოლოო ჯამში, ახლა რა მივიღეთ — არა რამდენიმე ათასი, არამედ ბევრად მეტი მობილიზაციას გამოქცეული რუსი.



**რომელ პუტინის პატიმრობაზეა ლაპარაკი?! ეს არის საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ტვინის არევა. ფაქტია, რომ სააკაშვილი სხვა ქვეყანაში არ დაუპატიმრებიათ, საქართველოში მისი დეპორტაცია არ მომხდარა. იგი თავად ჩამოვიდა აქ უკანონო გზით. წარმოვიდგინოთ, რომ სააკაშვილის ზეობის ჟამს აქ ვინმე პოლიტიკური ფიგურა ან თუნდაც სხვა, ასე შემოპარულიყო. ეს ხომ გამორიცხული იყო?!** რა პუტინის პატიმრობაზეა საუბარი. რას ითხოვენ ხელისუფლებისგან — სააკაშვილი უკანონოდ რომ შემოიპარა ქვეყანაში, უკან ზარ-ზეიმით გაეცილებინათ?! სხვა დანაშაულებს რომ თავი დავანებოთ, ფაქტია, მან ორი ქვეყნის საზღვარი დაარღვია და პასუხი უნდა აგოს, ეს აქსიომაა. რა შუაშია აქ პუტინის პატიმარი?! თუ ასეთი მიდგომა გვაქვს — რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს? რიგითი ადამიანები უნდა დაისაჯონ და სააკაშვილი — არა?! არ მესმის ეს ლოგიკა. თუ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, მაშინ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

**— სააკაშვილის ჯანმრთელობით შეწუხებულმა ევროპარლამენტარებმა დებატები გამართეს...**

— ეს ევროპარლამენტარები ნაცების ლობისტი „სახალხო პარტიის“ წევრები არიან. ამაზე დიდი ფული იხარჯება. ობიექტურად მოაზროვნე ევროპარლამენტარები, ვინც სააკაშვილის გამოშვებას მხარს უჭერენ, არასდროს ამბობენ, რომ მიშა უდანაშაულოა. ისინი ხვდებიან, რომ მიშას პოლიტპატიმრობაზე, უდანაშაულობაზე ლაპარაკი არასწორია.

**— სამაგიეროდ, ზელენსკიმ მოითხოვა: მიშა გადმოგვეცითო...**

— ბევრი რამ ვიცი, რაც უკრაინის სამთავრობო კულუარებში ხდება. ზოგი რამ ზედაპირზეც ამოტივტივდა. გავიხსენოთ, კორუფციაში ბრალდებული რამდენი ადამიანი გაათავისუფლეს. ომის დროს საკუთარ ჯარისკაცებზე ფულის კეთება, დანაშაულზე დანაშაულის დამატებაა. ასეთი ადამიანები ჩვენ გვასწავლიდნენ ჭკუას. უკრაინის ხელისუფლებასთან შეკითხვები მაქვს. მაგალითად, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე დანილოვთან, რომელმაც პირველმა განაცხადა საქართველოს ომში ჩართვის შესახებ. ამ დროს, მისი ორივე შვილი, რომლებიც წვევამდელი ასაკისანი არიან, ომის დღეებში და ახლაც ლონდონში იმყოფებიან. ჩამოეყვანა თავისი შვილები და მათაც მიეღოთ ომში მონაწილეობა. ამ თვალსაზრისით, **დანილოვს უფლება არ აქვს, ვინმეს ომში ჩართვისკენ მოუწოდოს. მეტიც, მას უფლება არ აქვს, უშიშროების საბჭოს მდივანი იყოს.**

**— რუსეთთან ფრენების აღდგენაზე რას ფიქრობთ?**

— ეს თავად რუსეთზეა დამოკიდებული — უნდათ აღადგენენ, უნდათ — არა. ინტენსიური ფრენები რუსეთში მცხოვრები რვაასი ათასი ქართველისთვის საჭირო არაა. კვირაში ორი რეისი დასაშვებია, ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ. მაგრამ ეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე თუ უნდა მოხდეს, ამას გამოვრიცხავ. რუსეთთან ფრთხილად უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, ამ ვითარებაში. იმიტომ კი არა, რომ აქ შემოიჭრება (ის ისედაც შემოჭრილია), არამედ ეს ცუდად იმოქმედებს ჩვენს პრესტიჟზე და დასავლეთთან ურთიერთობაზე.

**— რამდენად უქმნის საფრთხეს ფრენების აღდგენა საქართველოში მცხოვრებ უკრაინელ მოქალაქეებს?**

— კასიანოვის განცხადებას გულისხმობთ, ალბათ. ზოგჯერ მგონია, რომ ეს კაცი სხვის ნათქვამს იმეორებს. ამ მოსაზრების გამო ის უკრაინის საგრეო საქმეთა სამინისტრომ გაამტყუნა. მან სხვისი აზრი გააჟღერა. იქაურ პოლიტიკოსებში დიდი ხანია სხვადასხვა მიდგომების დემონსტრირება ხდება. კულუარებს ვგულისხმობ. **კასიანოვის ნათქვამი, თითქოს აქ უკრაინელებს ხიფათი შეექმნებათ, სასაცილოა. უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, როგორ სწავლობენ უკრაინაში, რუსულ ჯგუფში, უკრაინელი და რუსი ბავშვები ერთად.** საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც იცის, მათ სამზარეულოში რა ხდება. უამრავი ფაქტი არსებობს, ისინი ერთმანეთთან გადასარევად არიან, რაც ჩემი თვალით მაქვს ნანახი. თითქოს ომი არც იყოს ამ ორ ქვეყანას შორის. ადამიანები, რომლებიც აქ რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოვიდნენ, ჩემი აზრით, ომს გაერიდნენ. არც უკრაინელი მამაკაცებისთვის და არც რუსებისთვის, ვინც აქ ოჯახებით იმყოფებიან, ეს ომი მისაღები არ არის. მეტს შეგნებულად არაფერს ვიტყვი.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სამხრეთ ამერიკა მშვიდობის მომხრეა, ნატო – ომის



## ირანი ბირთვული იარაღის შექმნას განაგრძობს

მსოფლიოში პოლიტიკურმა ქაოსმა დაისადგურა. ცალკეული ქვეყნების მმართველები, ჩინოვნიკები (მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ძნელია, ისინი პოლიტიკოსებად მოვიხსენიოთ), ერთი მხრივ, სამშვიდობო დიალოგს ემხრობიან, მეორე მხრივ კი საომარ რიტორიკას ეწევიან. თუმცა, ომი სხვისი ხელით სურთ. ირანზე საჰაერო შეტევის შემდეგ თითქმის ათი დღე გავიდა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გაუკეთებია კონკრეტული განცხადება, თუ ვის ადანაშაულებენ მომხდარში. ერთი კი თქვეს, რომ ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას არ შეაჩერებენ. სამაგიეროდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა ნაწილობრივ აღიარა შეტევაში მონაწილეობა და ტელეინტერვიუში განაცხადა: „...ჩვენ ვაფრთხილებდით, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ განაგრძობს ირანი რუსეთის დახმარებას. თუმცა, ჩვენ უპირატესობას დიპლომატიას ვანიჭებთ“. ბლინკენს უკრაინელებმაც აუბეს მხარი: ხომ ვაფრთხილებდით ირანელებს მოსალოდნელ შედეგებზეო, განაცხადეს კიევში. ასეთ პოლიტიკურ ფონზე, როგორც აშშ-ის პრესა იუწყებოდა გასულ კვირას, აშშ-მ ყატარის მეშვეობით შესთავაზა ირანელებს, განაახლონ ბირთვულ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები. თუმცა, პასუხი ჯერაც არ მიუღიათ.




## ვინ ვის ეხმარება?

ყურადღების ცენტრში მოექცნენ გასულ კვირას იაპონია და სამხრეთ კორეა. ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტი განახორციელეს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. ოსტინი თავდაპირველად სეულში ჩავიდა, სადაც მკვეთრი განცხადება გააკეთა: „...ჩვენ დავეხმარებით თქვენს ქვეყანას სუვერენიტეტის შენარჩუნებაში, როგორც ჩვეულებრივი, ასევე ბირთვული იარაღით“. გენერალმა ეს ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის საყურადღებოდ თქვა. ოსტინმა ვიზიტი იაპონიაში განაგრძო. სტოლტენბერგი ტოკიოდან ჩავიდა სეულში, სადაც საინტერესო განცხადება გააკეთა: „...თუ ჩრდილოეთ კორეა ეხმარება რუსეთს, რატომ არ შეიძლება, თქვენი ქვეყანა არ დაეხმაროს ნატოს მოკავშირე უკრაინას?“ ექსპერტ-პოლიტოლოგების შეფასებით სტოლტენბერგისა და ოსტინის ვიზიტების მიზანი იყო სამხრეთ კორეიდან უკრაინისთვის იარაღის წაღება. სამხრეთ კორეის შეიარაღება ამერიკულია, რომელსაც სეული ეტაპობრივად იღებდა აშშ-იდან.

## აზიური „ნატო“

პოლიტოლოგების შეფასებით, აშშ და ნატო აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის მოწინააღმდეგე ქვეყნების კოალიციის შექმნას აპირებს. მართალია, 2021 წელს ჩამოაყალიბეს AUKUS-ი, რომელშიც გაწევრიანებული არიან ავსტრალია, აშშ და დიდი ბრიტანეთი. თუმცა, გაერთიანება არასაკმარისად მიაჩნიათ დამფუძნებლებს. ახლა ცდილობენ აზიაში ნატოს მსგავსი ორგანიზაციის შექმნას, სადაც აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს იწვევენ.

## სამხრეთ ამერიკა ომს არ ემხრობა

თანამედროვე იარაღის გადაცემა უკრაინისთვის კვლავ აქტუალურია. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს საგრძნობლად შეუმცირდათ იარაღის მარაგი. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გასულ კვირას შეშფოთებით განაცხადეს, რომ ქვეყანა საარტილერიო დანადგარების გარეშე დარჩა. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ ამერიკაში. ბრაზილიაში, არგენტინასა და ჩილეში ევროკავშირის წარმომადგენლის სტატუსით ჩავიდა. ვიზიტის მთავარი მიზანი ამ ქვეყნებიდან უკრაინისთვის საბრძოლო იარაღის წაღება იყო. აღმოჩნდა, რომ ბრაზილიას არ გააჩნია შესაძლებლობა, არგენტინა არც ფიქრობს ვინმესთვის შეიარაღების გადაცემაზე, ჩილეში კი თურმე საერთოდ არ აინტერესებთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები. ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა დე სილვამ პირდაპირ უთხრა შოლცს, რომ მისი ქვეყანა მშვიდობის მომხრეა და მე-19 საუკუნის შემდეგ არანაირ ომებში აღარ მონაწილეობს. სამხრეთ ამერიკიდან შოლცი ხელცარიელი დაბრუნდა.

## გზა სპონსორიდან ეჭვმიტანილამდე

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას უკრაინიდან — ძალოვანმა სტრუქტურებმა გაჩხრიკეს ცნობილი ბიზნესმენის იგორ კოლომოისკისა და შსს ყოფილი მინისტრის არსენ ავაკოვის საცხოვრებელი სახლები. ნებისმიერი დანაშაულის გამოძიება კანონზომიერია, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ კოლომოისკი პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის მთავარი სპონსორი იყო. გავიხსენოთ კადრები, როგორ ულოცავდა მსახიობი ზელენსკი დაბადების დღეს კოლომოისკის და კიდევ მეტ ფულს სთხოვდა. საპრეზიდენტო არჩევნები მთლიანად კოლომოისკიმ დაუფინანსა, ახლა კი არასასურველი პერსონა გახდა — „ვისაც ჩააცვა, იმან გახადა“.

უკრაინელმა ჟურნალისტებმა ეჭვი შეიტანეს გამოძიების ობიექტურობაში, ყურადღება გაამახვილეს გამომძიებლების ჩაცმულობაზე, რომლებმაც ჩხრეკისას ფეხსაცმელი გაიხადეს, რაც არასდროს და არსად ხდება. ჟურნალისტების აზრით, ზელენსკიმ უკრაინა-ევროკავშირის სამიტის დაწყებამდე შექმნა კორუფციასთან ბრძოლის ფონი. სამიტმა ჩაიარა, მაგრამ ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანება საერთოდ არ უხსენებიათ სტუმრებს. სამაგიეროდ, ევროჩინოვნიკმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა მასპინძლებს ეკონომიური ელნათურები ჩაუტანა.

## ტრამპის მიზანი არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის აკრძალვაა

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მხარდამჭერებთან შეხვედრაზე აქტიურად შეუტია სექსუმცირესობების წარმომადგენლებს და მათ მომხრეებს: „...ღმერთმა ორი სქესი შექმნა — კაცი და ქალი“, — თქვა ტრამპმა გამოსვლისას. მისივე განცხადებით, კვლავ გაპრეზიდენტების შემთხვევაში დააწესებს პასუხისმგებლობას არასწრულწლოვანების სქესის შეცვლაზე. ამერიკელი პოლიტოლოგების შეფასებით, ტრამპმა თავისი განცხადებით არჩევნებში გამარჯვება სათუო გახადა. თუმცა, არჩევნებამდე დიდი დროა, შესაძლოა, სასიკეთოც აღმოჩნდეს მისთვის ტრადიციული ფასეულობების დაცვა. „...ვითარება უკრაინაში ფეთქებადსაშიში გახდა. ბაიდენმა თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე მიიყვანა. უნდა შევაჩეროთ, ვიდრე ჯერ კიდევ არის ამისი შანსი!“ — კვლავ განაცხადა დონალდ ტრამპმა.



## მუქარა თუ გაფრთხილება?

სტალინგრადში (დღევანდელი ვოლგოგრადი) ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავი აღნიშნეს გასულ კვირას. ტრადიციულად, ღონისძიება პომპეზურად იმართება, წლეულს განსაკუთრებულად აღნიშნეს გამარჯვება. შეგახსენებთ, სტალინგრადის ბრძოლა ყველაზე სისხლისმღვრელი იყო მეორე მსოფლიო ომში. თითქმის 200-დღიან ბრძოლებში ორ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, აქედან 1,5 მლნ ფაშისტი... დამაფიქრებელი იყო რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სიტყვით გამოსვლა: „... დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, დღეს კვლავ გვემუქრებიან გერმანული ტანკებით, „ლეოპარდებით“, რომელთა ბორტზე ჯვრებია (მესამე რაიხის სიმბოლიკა — გ. ბ.) გამოსახული... ვინც რუსეთის ბრძოლის ველზე დამარცხებას ცდილობს, მათ არ ესმით, რომ მათთვის სხვანაირი ომი იქნება, მხოლოდ ჯავშანტექნიკით არ შემოვიფარგლებით, გვაქვს სხვა საშუალება, რითიც ვუპასუხებთ მათ“, — განაცხადა პუტინმა.

## მთავარი „დამნაშავე“ ზონდია

განგაში იყო გასულ კვირას აშშ-ში. მოსახლეობამ ცაში საჰაერო ბურთი დაინახა. თავდაპირველად ის ამოუცნობ მფრინავ ობიექტად მიიჩნიეს. აღმოჩნდა, რომ საჰაერო ზონდი ჩინეთს ეკუთვნოდა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს აცნობა, რომ ობიექტი სამოქალაქო მეტეოსტატი იყო. აშშ-ს ადმინისტრაცია განმარტებამ არ დააკმაყოფილა. გაირკვა, რომ ზონდი ატლანტის ოკეანიდან ქარმა ჯერ კანადაში, იქიდან აშშ-ში, მონტანას შტატში გადააფრინა. სწორედ მონტანაშია განთავსებული აშშ-ის სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტები და ამიტომ მიიჩნიეს ზონდი მზვერავ აპარატად. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, მან ზონდის განადგურება ბრძანა, მაგრამ სამხედროები მფრინავი ობიექტის ოკეანის ტერიტორიაზე გადანაცვლებას დაელოდნენ და იქ ჩამოაგდეს. ამან ჩინეთის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია.

ინციდენტის გამო სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ჩინეთში დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტი გააუქმა. აღსანიშნავია, რომ ათწლეულების წინ ჰემრი კისინჯერის ჩასვლით დათბა აშშ-ჩინეთის პოლიტიკური ამინდი. ახლაც იმედი ჰქონდათ თეთრ სახლში, რომ ბლინკენი სი ძინპინთან ვითარების დარეგულირებას შეძლებდა, ვიზიტის გაუქმებით კი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

სამყარო ომების გარეშეც მკაცრად ისჯება — თურქეთსა და სირიაში ორშაბათს, გამთენიისას დამანგრევალ მიწისძვრას რამდენიმე ასეული ადამიანი ემსხვერპლა...

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „ხებე“ მხოლოდ პაიკია, მთავარი ფიგურა ლომჯარიაა

← 6 გვ.

კულად ვუყურებდით. სამწუხაროდ, დასავლეთის პრესა ცრუ ინფორმაციებმა წალეკა. ჩვენთვის რაც სამაგალითო იყო, ახლა გაშიშვლებულია და ცარიელ-ტარიელ, განძარცვულ, უინტელექტო ადამიანებს ვხედავთ, რომლებიც მანიპულაციის მსხვერპლნი თავად არიან. განა რამით განსხვავდება მარაზმატიკი ბრეჟნევისგან მარაზმატიკი ბაიდენი?! ბაიდენი რასაც აკეთებს, ამას ქვეყნის მართვა ჰქვია?! ქვეყანა სიცრუით არ იმართება!

**— სააკაშვილს დამცველად ზელენსკიც გამოუჩნდა და მსოფლიოს მისი სურათები აუფრიალა.**

— ამ პიროვნებაზე რა უნდა გითხრათ, მან უკრაინა და უკრაინელი ხალხი გააუბედურა, გაწირა. სლავები — უკრაინელები და რუსები ერთმანეთს ხოცავენ, ჟლეტენ. ამაზე მეტი კატასტროფა რა უნდა იყოს. იგივე ხდება, რაც ჩვენი, აფხაზების და ოსების შემთხვევაში იყო. განა შეიძლება, ზელენსკიზე, როგორც ადამიანზე, ისე ილაპარაკო?! იგი სააკაშვილზე დარდობს, როცა უკრაინელი ხალხი გაწყვიტა. არ ვიცი, რა ეშველება უკრაინას, ამხელა ქვეყანა ზელენსკიმ მიწასთან გაასწორა და სააკაშვილს უპატრონებს?! ზელენსკის პოლიტიკური დღეები დათვლილია.

**— სასამართლომ მოწმის სახით ნინო ნადირაძე დაკითხა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ყოჩაღ, ნინო ნადირაძის გამბედაობას. თურმე, როგორ ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას. თუმცა, რა მიკვირს, ჩემი დისკრედიტაციაც ხომ სცადეს, რათა ამ საქმეში არ ჩავრთულიყავი. სააკაშვილის რეჟიმგამოვლილს რა უნდა გამიკვირდეს?! მათ ჰგონიათ, რომ დისკრედიტაციის მცდელობით გაგვაჩერებენ. ექიმებს, ექთნებს აშინებენ და სიმართლეს ასე ჩქმალავენ. კრაზანების ბუდეა, რომელიც ბულინგითაა დაკავებული. ამაზე, წესით, პასუხი უნდა აგონ.

სააკაშვილის მხრიდან ადგილი აქვს შესაძლო სიმულაციას, აგრავაციას. ამ ფონზე მოსამართლემ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ექსპერტები გვეუბნებიან: მიშა მოწამლულიაო და ამ დროს მის ორგანიზმში ნორმაზე მაღალი არცერთი მეტალი არ აღმოჩენილა. ასევე, ექსპერტები ვერ პასუხობენ: რომელი ხარისხის ჭკუასუსტობა იკვეთება. საუბრობენ დემენციაზე მაშინ, როცა სააკაშვილი ყოველდღიურ რეჟიმში უცხოეთში სხვადასხვა ენაზე დაწერილ წერილებს აგზავნის. ამ ფონზე, სასჯელის გადავადება მართებული არ იქნებოდა. სააკაშვილს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები ნამდვილად აქვს, რაც ბავშვობიდან მოსდევს და ახლა გაუმძაფრდა. ეს სხვა თემაა.

**ევროპარლამენტში, ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებში საინფორმაციო ფსიქოლოგიური სპეცოპერაცია მიმდინარეობს, მაგრამ ამის სახელწოდება მხოლოდ „FREEMISHA“ არ გახლავთ. ეს არის ქვეყნის, მთლიანად რეგიონის აფეთქების მცდელობა. დიახ, ამ ყველაფრის ბოლო გაჩერება რეგიონში — სამხრეთ კავკასიაში არეულობის მოწყობის სურვილია.**

**— უხერხული არ არის მიშას სამკურნალოდ გაშვება, თუნდაც იმ ადამიანების და მათი ოჯახების მიმართ, ვინც სააკაშვილის რეჟიმმა სასტიკად აწამა?**

— ამ მომენტში ერთ-ერთი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნას ვამზადებ. აღნიშნულ პირს მართლაც აქვს დემენცია. იგი ვერ გადაადგილდება. მას დამოუკიდებლად საკუთარი თავის მოვლა არ შეუძლია — ხელ-ფეხი არ ემორჩილება და ასეთი ადამიანი ციხეში ჩატოვეს. მოსამართლემ თვითცენზურა გამოიყენა. ეს მიშას საქმის გამო ხდება, სხვა შემთხვევაში სულ სხვა განაჩენი დადგებოდა. თავად სასჯელაღსრულების სისტემას არ სჭირდება ისეთი პატიმარი, რომელიც თავისით ვერაფერს აკეთებს. ამ დროს სააკაშვილი ფუფუნებაშია. როგორც გავიგე, მიშა „ვივამედის“ ერთსართულს მთლიანად იკავებს. მის გამო 60 საწოლი 35-მდეა შემცირებული.



**— სასამართლო პროცესის შემდეგ ხაბეიშვილი დესტრუქციით იმუქრება, როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?**

— ხაბეიშვილი, უბრალოდ, ამ დიდი სპეცოპერაციის ლოგოა. სინამდვილეში, **მთავარი ფიგურა ლომჯარია იქნება. ეს აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც იგი აშშ-ის დეპარტამენტმა ადამიანის უფლებათა დამცველის ყოველწლიური გლობალური ჯილდოთი დააჯილდოვა. ხაბეიშვილი გარდამავალი პერიოდის ფიგურაა.** ეს ყველამ ვიცით. უბრალოდ, არ ვიცოდით ვინ იყო მისი „საქმის“ გამგრძელებელი, თუმცა, ლომჯარიას დაჯილდოვებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ხაბეიშვილი მხოლოდ პაიკია. მან შავი საქმე უნდა გააკეთოს. დიახ, მავრი უნდა იყოს ხაბე. უფრო სწორად, მავრი არის „ხებე“, რომელმაც არეულობა უნდა მოაწყოს. მას, ალბათ, უკრაინიდან, დასავლეთიდან გარკვეული ძალები მიეხმარებიან. თუმცა, არეულობას ვერ მოაწყობენ. ქართველ ხალხს ვეღარ გააბრიყვებენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ, თურქეთი და აზერბაიჯანი დღეს ერთ ნავში ვსხედვართ. სამივეს მშვიდობა გვინდა. სომხეთსაც უნდა მშვიდობა, მაგრამ მას ძალიან ბევრი შიდა წინააღმდეგობა აქვს, დაახლოებით ისეთი, ჩვენ რომ გვქონდა გასულ წლებში. აი, ამ გზას გადის ახლა სომხეთი. დასავლურით გატაცება მათ ახლა დაეწყოთ. ამერიკული სომხური ლობი უზარმაზარ როლს თამაშობს, რომელიც რუსეთში სომხური ლობის ტყუპისცალია. ვფიქრობ, დღეს სომხეთს სტაბილურობის შენარჩუნება გაუჭირდება. შესაძლებელია, სამხრეთ კავკასიის აწეწვის მონახაზები სწორედ აქეთ იყოს მიმართული. იმიტომ, რომ საქართველოს, აზერბაიჯანს და თურქეთს დღეს სტაბილურობა ჰაერივით სჭირდებათ. განსაკუთრებით ერდოღანს, რომელსაც წინა საარჩევნო პერიოდი, ფაქტობრივად, დაწყებული აქვს.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ბევრად ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ბოლო 30 წლის განმავლობაში სხვა ხელისუფლებები. დიახ, ამჟამინდელი მთავრობა ბევრად დამოუკიდებელიც არის და საქართველოზე მოფიქრალიც. ასევე, ორიენტირებულია ეკონომიკურ პროექტებზე და, რაც მთავარია, ჩვენს უშიშროებას ამერიკის საელჩო არ უზრუნველყოფს. ჩვენ გვყავს ქართული უშიშროება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მჭიდროდ თანამშრომლობს აზერბაიჯანისა და თურქეთის იგივე სამსახურებთან. ამიტომ, ვფიქრობ „ხებეს“ გამოყენებით ლომჯარიას აღზევება და ქვეყნის არევა, არ გამოვა. ეს პროექტი ძირშივე განწირულია. რაც მთავარია, ამის ყველაზე მეტად იმიტომ მჯერა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პანდემიის დროს ტაძრებში აღდგომას წირვა-ლოცვა აღევლინა. ერი გამოფხიზლდა, ბევრმა ადამიანმა ფიქრი დაიწყო, რაშიც „ხალხის ძალის“ დიდი წვლილიცაა. მათ საზოგადოებას დაანახეს, საით არის სიმართლე. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. ის, რასაც ჩვენ სახლში, ტაქსში, ახლობლებში ვსაუბრობდით, ამ ადამიანებმა საჯაროდ თქვეს, რაც დიდი გამბედაობაა. როცა ქვეყანა ასეთი დიდი საფრთხეების წინაშეა, „ხალხის ძალის“ მიერ გადადგმული ნაბიჯები გმირობის ტოლფასია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თურქეთსა და სირიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად 5 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა



**ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, თურქეთში 11 000 შენობა დაზიანდა. მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი დახმარების 25 000-მდე თანამშრომელი მუშაობს. მაშველები დაშავებულების გადასაყვანად და სამძებრო სამუშაოებში მინიმუმ 10 გემს და 54 თვითმფრინავს იყენებენ.**

**რაც შეეხება სირიას, ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 1559-მდე გაიზარდა, დაშავებულთა რაოდენობა კი - 3 648-ია.**

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 7-დღიანი ეროვნული გლოვა გამოაცხადა.**

* * *

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციების სამსახურის განცხადებით, მიწისძვრისა და მისი შემდგომი ბიძგების შედეგად, სავარაუდოდ, 23 მილიონი ადამიანი, მათ შორის, 1.4 მილიონი ბავშვი, დაზარალდა.**

**ამასთან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ სტიქიისგან დაზარალებულ ქვეყნებში გადაუდებელი დახმარების, მათ შორის, ტრავმისა და გადაუდებელი ქირურგიისთვის საჭირო კომპლექტებს აგზავნიან და სასწრაფო სამედიცინო გუნდების ქსელს აქტიურებენ.**

* * *

**თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად საქართველოს ორი მოქალაქე გარდაიცვალა. საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, საელჩო ხაზზეა გარდაცვლილების ოჯახთან.**

**საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების თაობაზე ინფორმაციის მიღების და მათი დახმარების მიზნით.**

* * *

**თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგებთან ბრძოლაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ერთვებიან.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობამ სამაშველო ღონისძიებებში ჩასართავად შესაბამისი ტექნიკა და მაშველები გააგზავნა.**



# ᲐᲨᲨ ᲗᲣ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲠᲔᲙᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ, ᲛᲔ ᲕᲘᲧᲝ ᲢᲝᲒᲝᲡ, ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲨᲞᲘᲝᲜᲘ

„ნახევარზე მეტი ქალები ჩემს ადმინისტრაციაში ქალებია“ — განაცხადა მძინარა, კუანა და მოჩვენებებთან მოსაუბრე ჯო ბაიდენმა, რომელმაც უკრაინა უნდა იხსნას აგრესორი უკრაინისგან. რა საყვარელი მოხუცია, ოხუნჯი და მხიარული — რაღაც მედალი ზურგზე ჩამოჰკიდა სამხედრო პირს. მერე რა, თუ მოჩვენებებს ხელის ჩამოსართმევად დასდევს და გასასვლელ კარსაც ვერ პოულობს ხოლმე, „ზატო“ ზესახელმწიფოს პრეზიდენტია და ეამაყება, რომ მის ადმინისტრაციაში ახლა რამდენი ჰომოსექსუალიც არის, იმდენი არასდროს ყოფილა. იფ, შენი გულისა! აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციაში, ნახევარი ქალები ყოფილან, ნახევარი — ჰომოსექსუალები! თეთრი სახლის მიხვეულმოხვეულებში, სავარაუდოდ, 2-3 „ავადმყოფი ჯანმრთელიც“ დაპორჭყიალობს ალბათ, მაგრამ კედელზე უკანალით აკრული...

არადა, რა კარგი ბიჭი იყო 14 წლის წინათ, როგორ შემოგვირბინა და დაგვაფასა. სულგანათლებულმა ვახტანგ ხარჩილავამ ისე გაიხარა ბაიდენის ჩამოსვლით, სიხარულისგან გული წაუვიდა და ნიშადურით ძლივს რომ მოვასულიერეთ, სასწრაფოდ ოდა მიუძღვნა — წერდა და თან სიხარულის კურცხალი ეკიდა მარცხენა ღაწვზე:

**აიდა ბაიდებს, აიდა ბაიდებს,**
**ბარაქა ბარაკს და ვარდები ბაიდენს.**
**მიუხედავად იმის, რომ**
**რუსი აქ რაც უნდა იმას ჩაიდენს —**
**საქართველოს ფეხქვეშ გაიდებს,**
**მის მიწა-წყალს ჯიბეში ჩაიდებს.**
**და მაინც დიდება,**
**და მაინც დიდება**
**და მაინც დიდება ბარაკს და ბაიდენს.**
**მეფე გონიერი ცხვირში თითს ჩაიდებს,**
**ემდურის არულ-დარეულ ამინდებს.**
**შინაურს ეძახის მტრებსა და შაითნებს,**
**სკამისთვის ყველაფერს, ყველაფერს**
**დაითმენს**
**— დიდება ბარაკს და დიდება ბაიდენს!**
**ქვეყანას დანგრეულს, ქვეყანას დალეწილს,**
**სული რომ წაართვეს, ყოფა რომ უტირეს,**
**დღეს უწევს გაყოფა მას ორი სარეცლის —**
**დღე ბარაკს ნებდება და ღამე პუტინებს.**
**აიდა ბაიდებს,**
**აიდა ბაიდებს,**
**დიდება ბარაკს და**
**დიდება ბაიდენს!**

როგორი ამბავია ბაიდენი რომ დაგაფასებს?! — იმ დროშიც ასე იყო, როცა ბარაკ ობამა იყო პრეზიდენტი და ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტი და ამ დროშიც ასეა, სიხარულისგან უნდა ავჭყლოპინებულიყავით. ახლა სულაც უნდა ჩავისველოთ, მაგრამ აღარ ჩამოდის, მიგვატოვა, შეგვატოვა კელი დეიდას. ჭორაობის ნერვები არ მაქვს, თორემ კელი დეიდა, მგონი, ჩვენი რძალია და არ გვიმხელენ. (ლაშა ბუღაძის ყურამდე თუ მივიდა ეს ჭორ-მართალი, მუზა მიუფრინდება და დაწერს პიესას „დაცვის ბიჭი, ჯარის ქალი და აშშ-ის ვიზა“)

გურამ დოჩანაშვილმა მითხრა 23 წლის წინათ, „ამერიკელი გამძღარი რუსიაო“ და მისმა ამ ფრაზამ ნიუ-იორკში იმ დროს გამომავალ „ქართული გაზეთი“ №9-ში ამომაყოფინა თავი. ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, თუ ერთი ამერიკელი გამძღარი რუსია, ბევრი ამერიკელი ხომ ბევრი გამძღარი რუსი იქნება, ხოლო ამერიკა გამძღარი რუსების ქვეყანა გამოდის? — ამაშია საქმე! ორი ერთნაირი ბოროტების იმპერია, ორი ერთნაირი ბოროტების ყვავილი...

ჩემო იმანოებო, ორი ერთნაირი ნიანგიდან რომელი შემჭამს, რა მნიშვნელობა აქვს, ნეტავ, გარდა იმისა, რომ ერთი ნიანგი ჯიქურ მეცემა და დამცოხნის, მეორე კი, მომეპარება და ნელ-ნელა დამტკვირავს?

თურმე მაინც არის რაღაც სხვაობა და აბა, თქვენც გაიაზრეთ — ერთი ისეთი ნიანგია, მეორე რომ გეცეს, ეს იმ ნიანგს ეცემა, ჩემი არჩივია, პირი გაუშვიო და გააგდებინებს ჩემს თავს, სათავისოდ ამომდებს ქვის ქვეშ, ხოლო პირიქით შემთხვევაში, ეს არ შეუტევს, შენი იყოს, ისემც გიქნია ტანსაცმლიანად შეგიჭამიაო და ჩადგაფუნდება თავის სამყაროში...

სხვათაშორის, კიევიდან ჩამოგვიქროლა მაშინ ალალივით (ამ მტაცებელი ფრინველი სისწრაფეს ვგულისხმობ, თორემ ალალი ამერიკელი ვინ გაიგონა) ბაიდენმა და დაგვცა ტუზი — ვითომ ამით გაცხადდა, რომ აშშ მხარს უჭერს საქართ-




ველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

რა უცნაური მხარდაჭერა იციან, ლაქლაქებენ, ლაქლაქებენ და მხარდაჭერის თავ-ბოლო ეს არის. რა ვიცი, გენაცვათ, ვიცე-ჯო რომ გვესტუმრა, სრული წელიწადი არ იყო ჯერ გასული 2008 წლის აგვისტოს ომიდან და მეხსიერების დაკარგვას როგორ დავაბრალო, რომ მხარში შეგვიდგნენ რამენაირად და არ მახსოვს? 26 060 მდინარისა და 860 ტბის ქვეყანას ომში (ან ნაომარზე) მხოლოდ წყალს, რომ შეაშველებ, ეგ თუ მხარში ამოდგომაა და მასეთი ამომდგომის დედაც, ჯეკ!

ჯო ვის დაჰკარგვოდა წესით, არც გვიცეკვა და არც გვიმღერა, მაგრამ ჩვენ ხომ უწესოდ ვიცით ყველაფერი, ბომბი რომ დაგვცეს აშშ-მა შუაგულ რუსთაველზე, სიხარულით გადავირევით, დედა, რა საყვარელი ბომბიაო და „ასკოლკებს“ ლუსკუმაში მოვათავსებთ ნატვრისთვალის ვარიანტში...

სულ სხვა იყო თვით აშშ-ის პრეზიდენტის ჩამოსვლა. აბა, ის უჭერდა თუ უჭერდა მხარს საქართველოს ბლია-ბლიას და სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, „ზატო“ გალაღდა და გაგვალაღა — „ტეხასური კინტაური“ წაგვიცეკვა. ჰო, ისე წაგვიცეკვა, გახარებულები აღნიშნავდნენ იმდროინდელი ვაზელინცხებული მედიები „ჯორჯ ბუშის ჩამოსვლამ საქართველოში, თავისი მნიშვნელობით, დაჩრდილა 9 მაისი, როგორც მესამე რაიხის დამარცხებისა და ფაშიზმზე გამარჯვების დღეო“ — კი, ისე დაჩრდილა, რომ მანამდე თუ მთებსგადაღმა გვყავდა რუსის ჯარი, მას შემდეგ მხოლოდ 40 კმ გვაშორებს დედაქალაქიდან, ერთი ჩაშტვენა უნდა და 15-20 წუთში თბილისში იქნებიან — რომ არ შეაგვიანდეთ, ავტობანი კი გაუმზადეს მაშინვე...

ყველამ გამოაჩინა ნამდვილი სახე, ჩვენ ეს ვიკითხოთ: თუ 14 წლის წინათაც და ახლაც აშშ მიწყვეტდა და მიწყვეტს ოპოზიციის ლიდერთაგან ვინ უნდა შეხვდეს ვინმე ამერიკელს, ის სხვა რამეს დაგვეკითხება ნებართვის ასაღებად?

ძალიან კარგად მახსოვს — ჯონ ტეფტს რომ „წითელი ხაზების გადაკვეთაზე“ — დარბევაზე მინიშნება არ გაეკეთებინა, თანაც ოფიციალურად, საქართველოს შსს-თან ჩატარებული არაადამიანობის ბრძანებას არ გასცემდა ზონდერ-რობოტების მთავარი კინოლოგი.

მაშინ სანდრო ბრეგაძე ამბობდა, პოლიციის მაღალჩინოსანი ახლობელი გამენდო, საკნების დარბევა ბაიდენის დაცვამ და აშშ-ის საელჩომ მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებასო. კაცი იფიქრებდი, ის პოლიციელი ვანო მერაბიშვილის კუდია და მოწმედ უდგება მელასო, მაგრამ გულზე მიბნეული ე.წ. „ბირკა“ იძლეოდა ინფორმაციას მათი სტატუსის შესახებ, ვინც მეთვალყურეობდა საკნების დარბევას და იძლეოდა განკარგულებებსო.

„ხალხი სახარულით ხვდება ბაიდენს“ — ხაოდა კონკრეტული ტელევიზიის ჟურნალისტი.

რუსთაველზე რომ მკვდარი გველი დააგდო, იმდენი ხალხი მოგროვდება ცნობისმოყვარეობის გამო, შორიდან მომზირალს ფართომასშტაბიანი აქცია ეგონება და ცოცხალი ბაიდენის დანახვა სდომებოდათ იმავე ცნობისმოყვარეებს, რა გასაკვირია. კაცმა რომ თქვას, ვინც იხილა მაშინდელი ბაიდენი, ერთგვარ მოგებაშია, მანამდე ჰყავს ნანახი, სანამ ამ ქვეყნად იყო, არც მოჩვენებებს ესალმებოდა და არც უადგილო ადგილას აპრუწუნებდა...

ხორცი, ხორცი, საზარბაზნე მუქთა ხორცი ავღანეთში, ერაყში, მალიში, ჯანდაბაში, სადაც მოგვესურვება და თუ საჭირო გახდება საომარი მოედანიც! — ასეთი მყრალი სუნი აუვიდა ყროლის დასაფარად მუშკნაპკურებ სტრატიგიულ პარტნიორობასა და მეგობრობას.

ამდენი წლის მანძილზე ერთხელ მაინც ხომ უნდა დაინახო მოაზროვნე ადამიანმა, რომ აშშ-ს ურჩევნია საქართველო მუდმივ წინაალმდეგობაში იყოს რუსეთთან და არანაირად არ დაამყაროს მეზობლური კონტაქტი.

რას მოვაყოლე ეს მთელი ამბავი — ამა წლის 18 იანვარს, რუსეთის საგარეო საქმერთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სიტყვა დაასველა, რომ საქართველოს ხელისუფლების გაწონასწორებული პოზიცია ყურადსაღებია და შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოს შორის 2019 წლიდან ცალმხრივად შეწყვეტილი პირდაპირი ავიამიმოსვლის საკითხი გადაიხედოს.

ისეთი ამბავი ატყდა, საქართველოს პრეზიდენტი და აშშ-ის ელჩი ერთმანეთსღა ეხეთქებოდნენ ბებერი რქებით, ფრენების აღდგენას არ მივესალმებითო და რაღაც, ისტერიული ფრაზები.

ისადა, რუსეთის სასტიკი რეჟიმი ახლახანსღა აღმოაჩინეს, რაც უკრაინაში ომია? თუ აქვს ის სასტიკი რეჟიმი, თავის რუსეთში აქვს, უკრაინაში კი ომი აქვს, ომი! და ის ომიც უკრაინასთან კი არა, ნატო-სთან აქვს! — გააჭირა ამათმა ორმაგმა სტანდარტმა საქმე!

ასეთია აშშ იმთავითვე, წაჰკიდებს ორ მხარეს ერთმანეთს და შემდეგ ბანზე თვითონვე გამოდგება გამშველებლად. „თუ დავინახავთ, რომ ომს იგებს გერმანია, ჩვენ უნდა მივეხმაროთ რუსეთს. თუ შევამჩნევთ, რომ რუსები იგებენ, გერმანელებს მივეხმარებით, რათა რაც შეიძლება მეტად დახოცონ ერთმანეთი.! — ჰარი ტრუმენმა თქვა!

კავკასიაში სამი ქვეყანა ვართ, რატომ სომხეთს და აზერბაიჯანს არ უყენებენ პრეტენზიას, ნუ გაქვთ რუსეთთან საჰაერო მიმოსვლაო?

გამოდგება ვიღაც მოშტერო და დაიწყებს, „საბჭოთა მონებოო“ — მართალი თქვა ჩემმა ფბ-მეგობარმა ლევან ადეიშვილმა: როცა საქართველოს მეთაური პოლიტბიუროს წევრი იყო და მას თუნდაც მითითებებს მისივე რანგის ბიურო აძლევდა, მაშინ მონები ვიყავით და სსრკ იმპერია და დღეს, როცა საქართველოს მეთაურს აშშ-ის პოლიტიკურ იერარქიაში „ჭ“ საფეხურზე მყოფი ელჩი აძლევს ბრძანებოს ტოლფას მითითებებს, ჩვენ თავისუფლები ვართ და აშშ სტრატეგიული პარტნიორია? თუმცა სივრციდან და მისი აპოლოგეტებიდან, სადაც ტ-ის დანიშნულება ვერ გაუგიათ და ქალსა და კაცს ვერ ანსხვავებენ, სხვას რას უნდა ელოდე... ჰო, კიდევ, „რკინის ფარდა“ იყოოო, რომ წერენ — არ გაბედოთ მაქეთ ფრენების გახსნაო — ეტყობა, გამჭვირვალე ბლონდებია... თქვენ გაიხსენით კუჭში, თქვე ასტრაკა ასსტანდარტებო!“

ძალზე მცირე ხნის წინათ, დავოსში, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა იდეალური ფორმულა დადო: „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“, რასაც ფორუმზე დამსწრეთა ტაში და კეთილგანწყობილი რეპლიკები მოჰყვა. ამავე ფორმულიდან გამომდინარე, საქართველომ რატომ არ უნდა ითანამშრომლოს ყველასთან? იმ ფონზე, როცა მსოფლიოს ნაწილმა სანქციები დაუწესა და დამწესებელი ქვეყნები არ წყვეტენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს, ხოლო დანარჩენ მსოფლიოს ფეხზე ჰკიდია ვინ რა დაუწესა, აგრძელებენ რუსეთთან თანამშრომლობას, ჩვენ რატომ ჩაგვჯინებიან?

დიახ, საქართველო უნდა იყოს მიმზიდველი პლატფორმა ყველასთვის და არა „ყველა მინუს ერთი“! — რა არის აქ გასაკვირი, შემაშფოთებელი, ან მიუღებელი?

ვიღაც წერდა, რუსეთის დედაც, მაგრამ ისე შემაძულა თავი აშშ-მა და რაღაც დასავლეთმა, იქით გახედვა აღარ მინდა, ორი უბედურებიდან ისევ რუსეთისკენ მირჩევნია გახედვა, იმას მაინც არ შემატენიან ცხვირში რასაც გენეტიკურად ვერ ვიტანო... ვიღაც გაეპასუხა, მგონი რუსეთმა და აშშ-მა მოილაპარაკეს და საქართველო რუსეთს ერგო, მაგრამ აშშ კაი ტიპი რომ გამოჩნდეს, არ გვიმხელენ და ფარას რომ წინასწარგანზრახვით ღიობისკენ მიერეკებიან, ისეა ჩვენი საქმეცო.

დავფიქრდი და მგონი მართლა ასეა — აშშ თუ განზრახ არ გვერეკებოდეს რუსეთისკენ ცხვრებივით, მე ვიყო ტოგოს, ტანზანიისა და ჩადის შპიონი ერთდროულად!

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲝᲛᲮᲔᲠᲔᲚᲘ**

# „არანაცური აზროვნება“ სამშობლოს ღალატის სინონიმად იქცა...

## არც მიშაა ქართველი და არც ზელენსკია უკრაინელი...

დიქტატურის და ფაშიზმის რეალიზაციის დიდოსტატმა, **„მიხეილ უკანასკნელმა“**, შინაური და გარეული მტრის შემაშინებელი სახე ნაცლიდერებთან ერთად შექმნა; აუტანელი პირობებით გულაგის მსგავსი ციხეები ააშენა; ხალხის დასატერორებლად მოიერიშე ბრიგადები შექმნა; საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ბიზნესი მარწუხებში მოაქცია; კანონის გვერდის ავლით მოქალაქეებს უთვალთვალებდნენ, თვითნებურ დაჭერებს აწყობდნენ; ინტელიგენციას და მოაზროვნე ადამიანებს წნეხში ატარებდნენ; მკაცრად აკონტროლებდნენ მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით – ტელევიზიას. „არანაცური“ აზროვნება სამშობლოს ღალატის სინონიმად აქციეს; მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარეს თავი.

ნაცხროვას „დამხეცებული“ ჰქონდა საჭირო დროს მარტივ მამრავლებად დაყოფა და საჭირო მომენტში შედუღაბება. თუმცა ამჟამად პირველობისთვის ბრძოლამ ისე გაიტაცა ისინი, ერთმანეთის ლანძღვით, გინებით, წამოძახებით და კორტნით არიან დაკავებულები. მართალია, პოლიტიკურად გაკოტრდნენ, საზოგადოების თვალშიც გაბანძდნენ, მაგრამ, მათგან მართული, მსუყედ დაფინანსებული მედია, გედის სიმღერის ფონზე, გააფთრებული ცდილობს, მათი სისხლიანი, კრიმინალური წარსული მოსახლეობას დაავიწყოს და „ოცნებაზე“ შეთხზული ზღაპრებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს...

უცხოურ პრესაში წერილს წერილზე „აცხობენ“, როგორ „კლავენ“ „რეფორმატორ და დემოკრატ“ პრეზიდენტყოფილს. მიმდინარე თვეში გამოქვეყნებულ წერილში „Time“ (აშშ): **„ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ნელ-ნელა კლავენ“; „Der Tagesspiegel“ (გერმანია): „ისინი მას ნელ-ნელა კლავენ“: ექს-პრეზიდენტი საპყრობილეში თავისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის“. „The Jerusalem Post“ (ისრაელი): „უკრაინა საქართველოს სთხოვს, რომ ექს-პრეზიდენტის, უკრაინის მოქალაქის მიხეილ სააკაშვილის წამება შეწყვიტოს“; „Israel Hayom“ (ისრაელი): „ისინი ჩემი შვილის მოკვლას ცდილობენ“ – ყოფილი პრეზიდენტის დედა მსოფლიოს ემუდარება“. „The Wall Street Journal“ (აშშ): „დასავლეთს შეუძლია დადგეს დემოკრატიის დასაცავად და ჩემი სიცოცხლე გადაარჩინოს“ (ავტორი – მიხეილ სააკაშვილი).**

სამწუხაროდ, აღნიშნულ და მანამდეც უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში, სადაც მიხეილის ბედით არიან დამწუხრებულები, არავინ ახსენებს 2004-12 წლის ციხეებს, დაღუპულ, გამოშიგნულ პატიმრებს, კრიმინალებად „მონათლულ“ ჩახოცილ ახალგაზრდებს, განსაკუთრებული სისასტიკით დარბეულ, მშვიდობიან მიტინგებს და უამრავ უკანონო ქმედებას, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლება ყოველდღე სჩადიოდა.

დიახ, დასავლეთი სწორედ მიშასნაირ ლიდერებს ძერწავს, შემდეგ ქვეყნისა და ხალხის დასამხობად უშვებს, ქებისა და დიდების კორიანტელში ახვევს და დემოკრატიის შუქურად ნათლავს. საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელმაც მიშას ტერორს ცხრა წელი გაუძლო, ხელისუფლებას საყვედურობს, რომ დაიღალა „მიშას ცირკის“ ყურებით, ნაცლიდერების მავნებლობით, მათი მხრიდან განხორციელებული მუქარით.





დღეს „მსოფლიოს მამებს“ სწორედ მიშასნაირი გარეწრები სჭირდებათ ქვეყნების დასამონებლად და გასანადგურებლად. თვალსაჩინო მაგალითია „რუსეთთან მებრძოლი გმირი“ ზელენსკი, რომელსაც უკრაინის ნაწილიც დაკარგული აქვს და ასიათასობით უკრაინელის სიცოცხლეც. მიხეილის მიმართ მისი სიყვარული, თანაგრძნობა და მსგავსება კი იმითაა გამოწვეული, რომ არც მიშაა ქართველი და არც ზელენსკი — უკრაინელი. შესაბამისად, მათი მიზანი იმ ქვეყნების განადგურება გახლდათ, სადაც მათმა „მძერწავებმა“ მიავლინეს!..

მძიმე მოსასმენი და სანახავია, წარსულში მიშასთან მებრძოლი განაცებული და შემდეგ გაბანძებული „სასტავი“, რომლებსაც სოციალურ ქსელში შესაბამისი ეპითეტებით ამკობენ. ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე წლების უკან, ნაცრეჟიმთან ბრძოლით და მათი მხილებით იყო დაკავებული. მაგრამ ხვლიკისფერის დანახვაზე თავდაც ფერი იცვალა, ვარცხნილობაც შეიცვალა და მაგრადაც „გაიზმანა“. აი, რას წერდა ის წარსულში:- **„ეს კლინიკა დასაქმებულია იმით, რომ ხელოვნურად გააჩინონ ბავშვები, რომლებიც შემდგომ გაჰყავთ საზღვარგარეთ და იყიდებიან ჰომოსექსუალურ წყვილებზე. ამის დოკუმენტები ფაქტობრივად, თავმოყრილი მაქვს, საქმიდან როგორც ირკვევა, ამ კლინიკასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სანდრა რულოვსს. მიმდინარეობს გარკვევა, თუ რამდენად იყო სანდრა რულოვსი ამ საქმეში ჩართული, კერძოდ, ქართველი ბავშვების ჰომოსექსუალურ წყვილებზე გაშვილებით“**. ამ და სხვა მრავალი მხილების ავტორი დღეს სააკაშვილს და, შესაბამისად, „ნაცმოძრაობას“ იცავს და დარწმუნებულია, „აქ იქნება თუ სტრასბურგში მიშას გადავადების საქმე მოგებულია“, არადა, შესანიშნავად იცის, რომ მიშას ზეობის ხანაში, ბოლო სტადიის ონკოლოგიურ ავადმყოფ პატიმრებს ციხეებში კლავდნენ და გადავადებით არ ათავისუფლებდნენ. უმძიმეს ავადმყოფ პატიმრებს კი რეანიმაციაშიც „კანდალებს“ ადებდნენ. მათი 80% უდანაშაულო გახლდათ. სააკაშვილმა ქვეყანა დააქცია, მოსახლეობა გაანადგურა. ახალი პროვოკაციის მოწყობის მიზნით არაჟანში „ჩაუპაკოვკებული“ დაბრუნდა და ჰაიკლასის პალატაშიც არ უნდა სასჯელის მოხდა.

განაცებული, აღშფოთებული „გუბაზიკო“ ირიბი მუქარიდან პირდაპირზე გადავიდა: **„მე ამას მარტო ჩემი სახელით არ ვამბობ, იმიტომ რომ ბევრი ვიცი და ბევრ ადამიანთან მილაპარაკია, მეომრებთან მილაპარაკია, ვეტერანებთან, აფხაზეთის ცხინვალის, აქ ბევრი ვაპირებთ ომს და მოგექცევით ისე, როგორც მოვექცევით შემოჭრილ რუსებს აქ, უარესად, გაიგეთ ეს, გაუფრთხილდით საკუთარ თავს, ფიზიკურად. სინდისი და ნამუსი რომ არ გაგაჩნიათ, გავიგე, ზნედაცემული ხალხი ხართ, გავიგე, მაგრამ ვირთხის ინსტინქტები ხომ გაქვთ? მოგექცევით ისე, როგორც ექცევიან უკრაინაში კოლაბორანტებს, მეტი რა გითხრათ, ამ ქვეყანას არ დავთმობთ, ამ ქვეყანას ამ ერის უმრავლესობა არ დათმობს, ქართული ემიგრაცია არ დათმობს. თქვენ რა გგონიათ, უკრაინაში რამდენიმე ათასი ქართველი რომ იბრძვის, მეორე დღესვე აქ გაჩნდებიან და დამხმარეც გვეყოლება, მთელი ცივილიზებული სამყარო, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს“**, — მუქარას შევეჩვიეთ, მაგრამ ზნეობაზე რომ ღაღადებს „გუბაზიკო“, რაღაც მეხამუშება.

წვრილფეხა ნაცებიც არ გვაკლებენ მუქარას, მაგრამ „სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“, გიორგი ჩალაძის განცხადებამ დამცა: „თუ არ უნდათ, ქუჩაში ომი მიიღონ, მიხეილ სააკაშვილის საკითხი უნდა გადაწყდეს დადებითად. ეს არის მუქარა“. წესით, „გუბაზიკო და სიყვარულოვიჩი“ შესაბამის სამსახურში ახსნა-განმარტებას უნდა წერდნენ, თუ გაუქმდა მუხლი 317, რომლის დისპოზიციაც ასე „გამოყურებოდა“: **„მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე, ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება“**... მედიაში თუ სოციალურ ქსელში განუწყვეტლივ ტრიალებენ „ავადმყოფ-არესტანტი“ სააკაშვილი და „მასხარა გმირი“ ზელენსკი. საზოგადოების დიდი ნაწილი მათ უარყოფითი კომენტარებით ამკობს. თავის „პოსტში“ უმრავლესობის აზრი საუკეთესოდ გამოხატა ნინო ახობაძემ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„ომიდან პერერივზე გამოსული უკრაინის პრეზიდენტი ჩვენი პრეზიდენტყოფილის ფოტოებს რომ აფრიალებს და მსოფლიოს ამცნობს “რა დღეში ყავთ საბრალო მიშა საქართველოში” ამასთან დაკავშირებით ბევრი სტატუსი წავიკითხე მეგობრების ვოლებზე, რატომ არ იღებს ზომებს ჩვენი მთავრობა და არ სცემს საკადრის პასუხს ამ ბოროტ შოუმენს?!.

...გული მერევა უკვე ამ ორი მონსტრის ძალაუფლების გადანაწილების სისხლიან სპექტაკლზე, არც ევროპელი ვარ, არც რუსი! ჩემი საცოდავი ქვეყნის შვილი ვარ, რომელსაც უბრალოდ სიცოცხლე მინდა სიმშვიდეში აღარ მინდა ომი და ნგრევა, აღარ მინდა ტელევარსკვლავები მიშა და ვოლოდიმირი... დავიღალეთ...“

დიახ, მართლაც დავიღალეთ — ცხრა წელი ტერორში, სისხლიან რეჟიმში ვიცხოვრეთ და თერთმეტი წელია, „ნაცხროვა“ არ გვასვენებს, გადატრიალებით, პროვოკაციებით და ომით გვემუქრება.

**ქეთევან ზარნაძე**



# სიყვარული დაავადებაა

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცს მხოლოდ 8 წამი სჭირდება, რომ შეუყვარდეს, ეს გრძნობა არა უმეტეს ოთხ წელს გრძელდება და, პრაქტიკულად, ერთგვარი „ფსიქიკური დაავადებაა“.

მეცნიერმა ხეორხინა მონტემაიორ ფლორესმა განაცხადა, რომ სიყვარულის პირველი ფაზა თავის ტვინში განსაკუთრებული ქიმიური ნივთიერებების გამომუშავებით ხასიათდება. ისინი თავის ტვინშივე ყალიბდება და ნეირონებში კონცენტრირდება. შედეგად, აქტიურდება ნუშურა, თალამუსი, ჰიპოთალამუსი, ჰიპოკამპი. თავის ტვინის ეს ნაწილები ადამიანის ემოციებზეა პასუხისმგებელი და, შესაბამისად, შეყვარებული ადამიანი სხვა ვერაფერზე ფიქრობს, გარდა ობიექტისა, რომელმაც 8 წამში მასში ქიმიური პროცესები გამოიწვია.

რატომ გრძელდება სიყვარული არაუმეტეს ოთხი წლისა? როგორც პროფესორი ამტკიცებს, ამის მიზეზი ადამიანის ანატომიური აგებულებაა. მისი თქმით, ფიზიოლოგიურად „შეყვარებულობა“ ფაქტობრივი აკვიატების მდგომარეობაა, უფრო ზუსტად კი, სამეცნიერო ენაზე, ფსიქიკის ობსესიურ-კომპლექსური დარღვევის ტიპი.

მეცნიერთა დასკვნით, ამ გრძნობის განცდა სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეუძლია ადამიანს, სხვა შემთხვევაში ეს მხოლოდ სექსუალური ლტოლვა ან ბანალური მიჩვევაა. როგორც წესი, დაავადება-სიყვარული კონტროლს არ ექვემდებარება, რადგან სიყვარულის სტადიაში ქიმიური შენაერთები თავის ტვინში მათზე დამოკიდებულებას იწვევს და ანალიტიკური მონაცემები ძლიერი წყურვილისა და შიმშილის მდგომარეობის ანალოგიურია.

ეს, რაც თავის ტვინში ხდება, მაგრამ გამოხატვის მხრივ შეყვარებულ მამაკაცთა ექვსი ტიპი ჯერ კიდევ არისტოტელემ განაცალკევა.

**ალაპე (სამსხვერპლო სიყვარული)** — მამაკაცი, რომელსაც ეს გრძნობა ესმის, როგორც თავშეწირვა, ყველაფერს გააკეთებს საყვარელი ადამიანის სიამოვნებისთვის. სანამ სიყვარულში გამოტყდება, დიდხანს ევლება „ობიექტს“ თავს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, აბსოლუტურად უანგაროა.

**შედეგი** — ამგვარი სიყვარულის შემთხვევაში, როდესაც მამაკაცი მუდმივად სწირავს „ობიექტს“ საკუთარ სურვილებსა და ინტერესებს, იგი ნდობას და პატივისცემას იმსახურებს და მეტი არაფერი. მიზეზი მარტივია — ტოტალური ზრუნვა მომაბეზრებელია. მამაკაცი იფერებს „მზრუნველი მამიკოს“ როლს, რაც არანაირად არ იწვევს მის მიმართ სექსუალური ლტოლვის გაღვივებას და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ ზედმეტი მზრუნველობისა და ყურადღების გამო უფრო და უფრო იკლებს მისი „ფასი“.

**ლუდუსი (სიყვარულის თამაში)** — ამგვარი სიყვარულის მატარებელი მამაკაცის გრძნობა, უპირველესად, სექსუალურ ლტოლვაზეა აგებული. ამდენად, არც თავს იღლის „ობიქტის“ პატივისცემით. ის მიიჩნევს, რომ სექსუალური ლტოლვა მისი სიყვარულის საუკეთესო დადასტურებაა. ის არ ცდილობს საყვარელი ადამიანის, როგორც პიროვნების გაცნობას და თუ მისგან მყისვე არ იგრძნო იგივე, შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს. რაც უფრო დიდხანს ამყოფებს „ობიექტი“ ამგვარ შეყვარებულს გარკვეულ დისტანციაზე, მით უფრო გაცივდება მისი გრძნობა.

ამ ტიპისათვის დამახასიათებელია სხვა ქალებთან შეხვედრაც და, ამავდროულად, არც თვითონ იეჭვიანებს, თუ მის თვალწინ საყვარელი ქალი სხვა მამაკაცებს მოაწონებს თავს. ის არასდროს ეცდება დაახლოებას და არც თავს შეაწყენს ქალს. მამაკაცი, რომელსაც მიაჩნია, რომ სიყვარული სექსია, როგორც წესი, საკმაოდ ეგოისტია, მხოლოდ საკუთარ სურვილებზე ფიქრობს და თუ სასურველი ინტენსივობით არ ექნება სექსი, ის სწრაფად გაცივდება. მას მხოლოდ მაშინ უყვარს ქალი, როცა მის გვერდითაა, შესაბამისად, განშორებასაც იოლად იტანს.

**შედეგი** — შესაძლოა, თავიდან ქალიც გაიტაცოს გრძნობებმა და ემოციებმა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ვნება გაივლის, ადვილი შესაძლებელია, ქალმა აღმოაჩინოს, რომ ამ მამაკაცთან მხოლოდ სექსი აკავშირებდა. ამგვარ მამაკაცს თუ ქალი თავს არ მოაჩვევს პასუხისმგებლობას, კავშირი დიდხანს გაგრძელდება.

**ეროსი (გრძნობიანი სიყვარული)** — ის დამყარებულია, უპირველესად, ერთგულებაზე და მხოლოდ მას შემდეგ ფიზიკურ ლტოლვაზე. ამ ტიპის მამაკაცი არ იკარგება ერთი ღამის შემდეგ. იგი დაინტერესებულია „ობიექტის“ ცხოვრებითა და მისი პრობლემებით, მისი გრძნობებით, ემოციებით, მასთან საუბრით.

**შედეგი** — პრაქტიკულად იდეალური პარტნიორია. იგი არ დაიწყებს თვითდამკვიდრებას ქალის ხარჯზე, არ დაიწყებს დაშანტაჟებას სიყვარულით, პირიქით, დააფასებს მის გრძნობებს, რადგან გახარებული იქნება, რომ მის გვერდზე ქალი კარგად გრძნობს თავს.

**მანია-სიყვარული (შეპყრობილობა)** — ის, როგორც წესი, დაფუძნებულია ვნებასა და ეჭვიანობაზე. ამგვარად შეყვარებული მამაკაცის ყურადღების ცენტრშია არა ქალი, არამედ თვითონ, მას ასე სურს და, აქედან გამომდინარე, თვითდამკვიდრებას ცდილობს მის ხარჯზე. ეს სხვადასხვაგვარად ვლინდება, მაგრამ მეტწილად ბანალური უხეშობით ან წვრილმანი დამცირებებით. ამ ტიპის მამაკაცი გაუცნობიერებლად გამუდმებით ელის პრობლემებს ურთიერთობაში, ხოლო თუ ისინი არ არის, თავად შექმნის. ასეთი მამაკაცი ელოდება, რომ საყვარელ ქალს მასზე დამოკიდებულს გახდის, რადგან მიიჩნევს, რომ ქალს იგი თუნდაც მხოლოდ იმიტომ უნდა უყვარდეს, რომ მის გვერდითაა. ამგვარი მამაკაცი გაურბის მოწყენილობას, ხშირად იცვლის სიტუაციას, გარემოს...

**შედეგი** — პათოლოგიური ეჭვიანობა. ასეთი მამაკაცი იმიტომ კი არ ეჭვიანობს, რომ კონკრეტული ქალის დაკარგვის ეშინია, არამედ იმიტომ, რომ ეშინია, საყვარელი ქალი არ გაექცეს „ძალაუფლებიდან“. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დამოკიდებულად და სუსტად წარმოჩინდება მისი საყვარელი ქალი, მით უფრო თავდაჯერებული გახდება და მუდმივად ეცდება, ქალს აფიქრებინოს, რომ ის მართლა უმწეოა მის გარეშე. ამგვარ მამაკაცთან დაახლოებას თუ შეეცდება ქალი, ის გაეცლება, მაგრამ თუ პირიქით მოხდა, ძალებს არ დაზოგავს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ეს პროცესი არ მობეზრდება. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი მამაკაცი თვითონ ახდენს განშორების პროვოცირებას, რათა ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას.

**პრაგმა (ანგარებიანი სიყვარული)** — ამგვარი მამაკაცი ამბობს, რომ მას სჭირდება ქალი, რომელთანაც თავს მოხერხებულად იგრძნობს (არა ისეთი, რომელიც ერთი ნახვით შეუყვარდება ან ვნებიანი სექსი ექნება). იგი გაცნობისთანავე ცდილობს, გაარკვიოს, აქვს თუ არა ქალს ისტერიული გამოხტომები, შეუძლია თუ არა დიასახლისობა და ა.შ., ანუ საზღვრავს, მოხერხებული იქნება თუ არა ერთობლივი ცხოვრება.

**შედეგი** — ვნებები და მოულოდნელი ქცევები ასეთი ტიპის მამაკაცის მხრიდან წყვილის ცხოვრებაში არ იქნება, მაგრამ ქალს მუდმივად შეაწუხებს აზრი, რომ „ნივთად“ აირჩიეს. სანამ ქალი მიცემს იმას, რასაც მისგან მამაკაცი ელოდა, მას უყვარს, მაგრამ როგორც კი ეს საფუძველი მოიშლება, დადგება განშორების დრო. ამგვარი მამაკაცი მუდმივად გააკონტროლებს თავის გრძნობებს და ქალისგანაც იგივეს მოითხოვს.

**სტორგე (სიყვარული-მეგობრობა)** — ამ ტიპის მამაკაცი ქალს უამბობს ყველაფერს, დაწყებული პირადი პრობლემებიდან, დამთავრებული მეხუთე თაობამდე ახლობლებზე. ქალი გრძნობს, რომ თვითონაც შეუძლია, გაუზიაროს ყველაფერი და დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს მხარდაჭერასა და გაგებას.



**შედეგი** — ვინაიდან ერთმანეთის სურვილები, ფიქრები და ოცნებები ცნობილია, უბრალოდ, უინტერესო ხდება ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ძალზე სწრაფად განელდეს ძლიერი ემოციები და გაჩნდეს ახალი შეგრძნებების სურვილი...

დღეს სასაცილოა, მაგრამ საბჭოთა კავშირის შექმნის გარიჟრაჟზე (გარკვეულწილად, მთელი მისი არსებობის განმავლობაში) „სიყვარულით დაავადებულ“ და არისტოტელესეულ მამაკაცის ექვსივე ტიპს, თუ ისინი საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ, გასათვალისწინებელი ჰქონდათ ე. წ. „პროლეტარიატის სექსუალური ქცევის კოდექსი“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა ბროშურაში „რევოლუცია და ახალგაზრდობა“.

1. პროლეტარიატს შორის სქესობრივი ცხოვრება არ უნდა დაიწყოს ადრე.

2. აუცილებელია ქორწინებამდე სქესობრივი მოთხოვნილების შეკავება, ხოლო ქორწინება უნდა შედგეს მხოლოდ სოციალური და ბიოლოგიური მომწიფების პერიოდში. (20-25 წელი).

3. სქესობრივი აქტი მოცემულ მომენტში წყვილს შორის არსებული სიღრმისეული სიმპათიებისა და მიჩვევის დასკვნითი ნაწილია.

4. სასიყვარულო აქტი მოცემულ მომენტში წყვილს შორის არსებული სიღრმისეული და რთული განცდების დაბოლოებაა.

5. სქესობრივი აქტი ხშირად არ უნდა მეორდებოდეს.

6. სქესობრივი ობიექტის ხშირი ცვლა დაუშვებელია. ამ მხრივ რაც შეიძლება ნაკლები მრავალფეროვნებაა საჭირო.

7. სიყვარული უნდა იყოს მონოგამიური.

8. ყოველი სქესობრივი აქტისას გახსოვდეთ, რომ შეიძლება ბავშვი ჩაისახოს — საერთოდ, ამ დროს იფიქრეთ შთამომავლობაზე.

9. სქესობრივი ობიექტის შერჩევა კლასობრივი რევოლუციის თანახმად, პროლეტარისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულობით უნდა მოხდეს. სასიყვარულო ურთიერთობაში არ უნდა იქნას გამოყენებული ფლირტი, თავის მოწონება, კეკლუცობა და სქესობრივი მოხიბვლის სხვა ხერხები.

10. დაუშვებელია ეჭვიანობა.

11. დაუშვებელია სექსუალური გარყვნილება

12. კლასს შეუძლია ჩაერიოს თავისი წევრების სქესობრივ ცხოვრებაში. რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ ყველაფერი სქესობრივ კლასს უნდა დაემორჩილოს. ეს უკანასკნელი მას ხელს არაფერში შეუშლის, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარება.

რა შემადგენლობის იყო პროლეტარული ჯგუფი, რომელმაც აღნიშნული „სექსუალური ქცევის კოდექსი“ შეიმუშავა, უცნობია, თუმცა, ზოგიერთი პუნქტს დღესაც, ასი წლის შემდეგაც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგან მათში გაჟღერებული მითითება-აკრძალვები დღევანდელი საზოგადოებისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია...

**მაკა ჯაყელი**

# მუსიკა სიცოცხლის ხმაა



*„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:*

### როკ-მუსიკა ცოცხალ უჯრედს კლავს

მრავალრიცხოვანმა კვლევებმა როკ-ენ-როლის დამანგრეველი ზემოქმედება აჩვენა. აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, მოზარდთა 87% დღეში 3-7 საათს როკ-მუსიკას უსმენს. როკ-მუსიკა მძიმე ტრავმას აყენებს სმენით აპარატს, მხედველობას, ენდოკრინულ და ნერვულ სისტემებს. მისი მოქმედება თავის ტვინზე ნარკოტიკის მოქმედების მსგავსია, ძირითადად, იცვლება ნივთიერებათა ცვლა. განსაკუთრებით მძიმეა როკ-ენ-როლის ფსიქოლოგიური ზეგავლენა. კერძოდ, ექიმების სამედიცინო-ფსიქიატრიულ შრომებში ყველაზე ხშირად ფიგურირებს: არაკონტროლირებადი ძალადობისკენ სწრაფვა; ნერვული აგზნება, რაც იწვევს ეიფორიას და ჰალუცინაციებს; ჰიპნოზური (ზომბირების მსგავსი) მდგომარეობა; დეპრესიული მდგომარეობა (ხშირად ფსიქოზამდე მისული); მკვლელობისა და თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება. „მძიმე მეტალური მუსიკა“ აძლიერებს „სიმამაცის“ კულტს და ქალების მიმართ აგრესიას. როკ-კონცერტებზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქალის ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცები, რომელთა უმრავლესობა ბისექსუალია და ზოგი მათგანი უკვე შიდსითაც კი გარდაიცვალა.

როკ-მუსიკის სისტემატური მოსმენა ქვეცნობიერებაში შეჭრით ცნობიერებაზე ნამდვილ ძალადობას და თავისუფალ ნებაზე მანიპულირებას ახდენს. მრავალი ფაქტია ცნობილი, როცა როკ-კონცერტების დროს ათასობით ადამიანი გაითელა და სერიოზულად დაშავდა. ცნობილი ფსიქოლოგი ფ. ჰარლოკი თავის ნაშრომში „დიდი ბიტი“ აღნიშნავს: „ქვეყნებში, სადაც როკ-მუსიკა განსაკუთრებით პოპულარულია, მაგალითად, აშშ-სა და ინგლისში, აღინიშნება არამარტო ახალგაზრდობის დეგრადაციის, არამედ მოზარდების მიერ ჩადენილ კრიმინალურ დანაშაულთა რაოდენობის ზრდაც, ქორწინების გარეშე შობილ ბავშვთა რიცხვის მატებაც და სხვადასხვა სახის ძალადობის აქტების, მკვლელობების და თვითმკვლელობების მომრავლებაც“. როკ-მუსიკა კლავს ცოცხალ უჯრედს. როკ-მუსიკოსთა ასაკი იშვიათად აღემატება 50 წელს.

როკ-მუსიკაში გამოყენებულ სიხშირეებს განსაკუთრებული ზემოქმედება აქვს თავის ტვინზე. რიტმი ნარკოტიკულ თვისებებს იძენს ზედაბალ (15-30 ჰერცი) და ზემაღალ (80 000 ჰერცი) სიხშირეებთან შეხამებაში. როგორც მაღალი, ისე დაბალი სიხშირეები იწვევს ტვინის სერიოზულ ტრავმირებას. ამერიკელმა ექიმმა დ. ელვინმა დაადგინა, რომ ხმამაღალი გამკინავი ბგერა ხელს უწყობს ცილის შედედებას (ერთ-ერთ კონცერტზე ხმამაღლა მოლაპარაკის წინ მოთავსებული უმი კვერცხი, სამი საათის შემდეგ თოხლოდ მოიხარშა).

### როკ-მუსიკა საჭმლის მონელების მოშლას იწვევს?!

ინგლისელმა როკ-მუსიკოსმა დევიდ ბოუიმ როკს „სატანური მუსიკა“ უწოდა. ცნობილი თერაპევტის ა. კნისტის ათეული წლების გამოკვლევებმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ როკ-მუსიკა, მისი ხმაურის დონიდან გამომდინარე, მუდმივ მსმენელებში იწვევს გაბოროტებას, ნარცისიზმს, პანიკას, საჭმლის მონელების მოშლას, ჰიპერტონიას და სხვა ცვლილებებს. „ როკი... ეს ნარკოტიკია, რომელიც წამლავს ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლეს და უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე ჰეროინი“.

როკ-მუსიკა არღვევს ზნეობის ბარიერებს, აქრობს ბუნებრივი დაცვის ავტომატურ რეფლექსებსა და მექანიზმებს. დადგენილია, რომ ინფორმაციის მხოლოდ მეშვიდედი ნაწილი აღიქმება ცნობიერებით, ხოლო ექვსი მეშვიდედი — ქვეცნობიერებით. როცა ტვინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის ქვეცნობიერებაზე მიმართული ბგერითი სიგნალის ზემოქმედებას, მასში მიმდინარეობს ბიოქიმიური რეაქციები, ანალოგიური იმისა, რასაც იწვევს მორფის გაკეთება. ხოლო როცა ადამიანი ნარკოტიკულ ტრანსში იმყოფება, ქვეცნობიერი კავშირები რთავენ პროგრამას და ხდება ტოტალური გამოჩერჩეტება, ზომბირება. მთავარი საშიშროება ისაა, რომ აუდიტორია სრულიად დაუცველია ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაზე ზემოქმედებისგან.

ლეგენდარული ლივერპულელი ჯგუფის „ბითლზების“ კომპოზიცია „ჰელტერ სკელტერი“ თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით კეთილხმოვანი და საკმაოდ სასიამოვნო მუსიკა, მავნე აღმოჩნდეს. ამ კომპოზიციის ჯანმრთელობისთვის საშიში ძირითადი რიტმის (დაახლოებით 6,4 ჰერცი) გამო, მსმენელს შეიძლება უეცრად მუცელი ან გული ატკივდეს. გარდა ამისა, რადგან ასეთი მელოდიის რიტმი სიხშირით ახლოსაა ადამიანის ტვინის ერთ-ერთ რიტმთან, არსებობს ამ სიხშირეთა რეზონანსული თანხვედრის რეალური საშიშროება, რამაც შეიძლება ნამდვილი სიგიჟე გამოიწვიოს.



### ადამიანის ტვინი — აუდიონარკოტიკების სამიზნე!

ექიმების აზრით, კლასიკური მუსიკისგან განსხვავებით, რეკომენდებული არ არის რეპის, ჰარდროკის და ჰევი-მეტალის ჯგუფების დიდხანს მოსმენა, რომლებიც ხშირად შეუგნებელი აგრესიის მიზეზს წარმოადგენს. აუდიონარკოტიკების მოსმენით სერიოზულად იცვლება ელექტროენცეფალოგრამა. იგი ეპილეფსიით დაავადებული ადამიანის ელექტროენცეფალოგრამას ემსგავსება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თავის ტვინის ელექტრული აქტიურობა პათოლოგიის მხარეს იცვლება. აუდიონარკოტიკების სამიზნე ადამიანის ტვინია! ეს იწვევს შემეცნებითი ფუნქციის დათრგუნვას, მახსოვრობის დაქვეითებას, სააზროვნო ფუნქციის დარღვევას, რაც პიროვნების დეგრადაციას განაპირობებს.

რაც შეეხება სხვა ჟანრებს: ბლუზს, ჯაზს და რეგს, მათ ადამიანის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლიათ. მავნე გავლენას ახდენს ზოგიერთი კლასიკური ნაწარმოებიც, მაგალითად, შოპენის ნოქტიურნები, ვაგნერის და რიჰარდ შტრაუსის ზოგიერთი ნაწარმოები. სიტყვით გამოსვლების წინ, ჰიტლერისთვის ამგზნებ მარშებს (ძირითადად ვაგნერის) ასრულებდნენ, რითაც მისი ჰიპნოზური ტალანტი აიხსნება.

### ბახის მუსიკა — მცენარეთა ზრდის ხელშემწყობია

ადამიანების მსგავსად ცხოველები უპირატესობას ჰარმონიულ მუსიკას ანიჭებენ. მძიმე როკის მოსმენისას ძროხები წველიან და საჭმელზე უარს ამბობენ. მცენარეებიც სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ჰარმონიულ მუსიკაზე და როკ-მუსიკაზე. ისინი ბახის მუსიკას ამჯობინებენ, რომელიც მცენარეთა ზრდის სტიმულაციას იწვევს — ძლიერდება ფოტოსინთეზისა და ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა, რამდენჯერმე იზრდება ვიტამინების შემცველობა (მაგალითად „გახმოვანებულ“ ხორბლის ღივში 20-ჯერ მეტი ვიტამინი აღმოჩნდა), რის შედეგად იზრდება მოსავლის რაოდენობა და ხარისხი. როკ-მუსიკის გავლენით მცენარე მალე ჭკნება და ნადგურდება.



### მუსიკა — სიცოცხლის ხმა

„ჭუჭყიანი ბგერები“ წამლავენ ბიოსფეროს! რადგან მუსიკა მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორია, მოქმედებს ადამიანის ინტელექტზე, მის სხეულსა და სულიერ ბუნებაზე, ამიტომ იგი წარმოადგენს როგორც დაავადების გამომწვევ, ისე სამკურნალო საშუალებას. აუდიოტერორიზმისა და აგრესოგენური მუსიკისგან თავდასაცავად გვახსოვდეს არისტოტელეს სიტყვები: „უნდა მოვერიდოთ ახალი ტიპის მუსიკის შემოტანას, როგორც შესაძლო საშიშროებას მთელი სახელმწიფოსთვის, რადგან მუსიკის სტილის ცვლილება ყოველთვის გავლენას ახდენს პოლიტიკური წყობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე“.

მუსიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ახალი მიმართულებაა ბიომუსიკოლოგია, რომელიც ავლენს, თუ როგორ ზემოქმედებს ბგერები ცოცხალ ორგანიზმზე. მუსიკა, როგორც ბგერების მწყობრი და ჰარმონიული შეხამება, უნივერსალური და ყოვლისმომცველი ენაა. მუსიკა სიცოცხლის ხმაა. ცნობილია, რომ სხვადასხვა სიხშირის ბგერა განსხვავებულად ზემოქმედებს ადამიანზე. ეს პირდაპირ თავის ტვინის რიტმებთან არის დაკავშირებული. სმენის ორგანოებით მიღებულ აუდიოინფორმაციას ტვინი აანალიზებს და საკუთარ რიტმებთან აჯერებს. მუსიკალური ზემოქმედება შეიძლება ასე აიხსნას. „მხოლოდ ვერცხლისებური მუსიკა მიქარვებს ნაღველს“ (შექსპირი „რომეო და ჯულიეტა“). სხვადასხვა მუსიკა ადამიანებზე განსხვავებულ ემოციებს იწვევს, თუმცა როგორც სპინოზა ამბობდა: „არამუსიკალური ყურისთვის უმშვენიერეს მუსიკასაც არ აქვს აზრი“. თითოეულ ცოცხალ არსებას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „მოლეკულური“ მუსიკა და შესაბამისად საკუთარი სიხშირე გააჩნია. სწორედ ამიტომაც არის მუსიკალური გემოვნება განსხვავებული. „მუსიკოთერაპიის სახელმძღვანელოში“ ნათქვამია: „ადამიანის ტვინი — უამრავი ვიბრაციაა ელექტრული იმპულსებით, რომლებიც მისი ყოველი ნაწილიდან გამოდის. ადამიანი გამოსცემს მუსიკალურ ნოტებს, რომლებიც მისი ვიბრაციების ხარისხზეა დამოკიდებული... ყოველ ადამიანს თავისი საბაზო ბგერა გააჩნია“. კომპოზიტორი ა. სკრიაბინი, რომელმაც ფსიქოაკუსტიკური სტრუქტურები აღმოაჩინა, წერდა: „მუსიკით შეიძლება გამოვიწვიოთ ჰიპნოზი. მუსიკა არის ბგერებით შელოცვა, რომლის ჰარმონიაშია უზარმაზარი მაგიური ძალა“.

**თამარ შველიძე**

# დედოფალი მარგრეტე II – მონარქი, მხატვარი, დიზაინერი

ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეთ II-ის გარდაცვალების შემდეგ მსოფლიოში ერთადერთი მმართველი მონარქი დარჩა. დანიის დედოფალი მარგრეტე II 82 წლისაა. ის ტახტზე 50 წლის წინათ ავიდა და მას შემდეგ არა მხოლოდ სახელმწიფო საქმეებითაა დაკავებული, არამედ საეკლესიო სამოსელსა და თეატრალურ კოსტიუმებსაც ქმნის, წერს წიგნებს, თარგმნის და ილუსტრაციებს ხატავს მათთვის.

მარგრეტე II დანიის ისტორიაში მეორე დედოფალია, მისი წინამორბედი მარგრეტე I დანიას, შვედეთსა და ნორვეგიასაც მართავდა XIV ს-ში. მარგრეტე II ტახტზე 1972 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ 31 წლის ასაკში ავიდა.

დედოფალი 1940 წლის 16 აპრილს დაიბადა, დანიაში გერმანიის შეჭრიდან ერთი კვირის შემდეგ. მან საშინაო განათლება მიიღო, მაგრამ ცოტა ხანს საერთო საგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა კოპენჰაგენში, შემდეგ კი ინგლისში, ინტერნატში. 18 წლის ასაკში მარგრეტე დანიის საჰაერო ესკადრილიის ქალთა კორპუსში მსახურობდა, 20 წლისამ კი კოპენჰაგენის უნივერსიტეტში ფილოსოფიას შესწავლა დაიწყო. მარგრეტემ განათლება მიიღო დანიის ოერხუსისა და საფრანგეთის სორბონას უნივერსიტეტებში, ბრიტანეთის კემბრიჯში არქეოლოგია შეისწავლა და მონაწილეობას იღებდა დანიასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე გათხრებში. ბაბუასთან ერთად, რომელიც შვედეთის მეფეც იყო და გატაცებული იყო არქეოლოგიით, იტალიაში იმყოფებოდა ექსპედიციაში.

### ტოლკინის ილუსტრატორი

ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში, მარგრეტემ დახატა ილუსტრაციები ტრილოგიისთვის „ბეჭდების მბრძანებელი“. ტოლკინი გაოცებული დარჩა, იმდენად ახლოს იყო ნახატები მის ხედვასთან. 1977 წელს რომანის დანიური გამოცემა მარგრეტეს ილუსტრაციებით გამოვიდა, ოღონდ ნახატებს ფსევდონიმი ეწერა.

1980-იანი წლების ბოლოდან მარგრეტე უკვე საკუთარი სახელით აქვეყნებს ნამუშევრებს. 2012 წელს კოპენჰაგენში გაიმართა გამოფენა, რომელიც მისი მმართველობის 40 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენილი იყო აკრილითა და აკვარელით შესრულებული 135 ნახატი,. მარგრეტეს ნახატები გამოფენილი იყო რუსეთში, ამერიკაში, კანადაში, იტალიაში, ჩინეთში, იაპონიასა და საფრანგეთში.

### დიზაინერი, სცენოგრაფი, მთარგმნელი

1970-იანი წლებიდან დედოფალმა დანიის, გრენლანდიის, გერმანიისა და ინგლისის სასულიერო პირებისთვის საეკლესიო სამოსელის შექმნა დაიწყო. იგი არა მარტო თვითონვე ქმნის დიზაინს, არამედ კერავს და ქარგავს კიდეც. ზოგიერთი საკუთარი გამორჩეული სამოსის დიზაინიც მასვე ეკუთვნის.

1991 წელს მარგრეტემ დანიის სამეფო ბალეტის სპექტაკლის „ხალხური თქმულება“ მოცეკვავეების კოსტიუმები და დეკორაციები შექმნა. 2001 წლიდან დედოფალი კოპენჰაგენის პანტომიმის თეატრის სცენოგრაფია, რომლისთვისაც მან შექმნა კოსტიუმების დიზაინი სპექტაკლებისთვის „მაკნატუნა“, „კონკია“ და სხვ. 2023 წელს ეკრანებზე გამოვა „ნეტფლიქსის“ ფილმი „ერენგარდი“, რომლისთვისაც დეკორაციები მარგრეტე II-მ შექმნა.

დედოფალი მარგრეტე რამდენიმე ენას ფლობს: ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს და შვედურს. ფრანგული მეუღლესთან, ფრანგ დიპლომატ ანრი დე ლაბორ დე მონპეზასთან ურთიერთობაში დაეხმარა, რომელზეც 1967 წელს დაინიშნა. დანიაში გადასვლის შემდეგ ის პრინცი ჰენრიკი გახდა.

პრინცმა და დედოფალმა დანიურ ენაზე თარგმნეს ფრანგი ფემინისტი მწერლის სიმონა დე ბოვუარის რომანი „ყველა ადამიანი მოკვდავია“. პრინცი 2018 წელს გარდაიცვალა.



### სტატუსი არც ისე მნიშვნელოვანია

როცა მარგრეტე ტახტზე ავიდა 1972 წელს, დანიელების მხოლოდ 42% უჭერდა მხარს მონარქიას. ახალმა დედოფალმა თავისი ქვეშევრდომების მხარდაჭერა მოიპოვა და მათი რაოდენობა 84% გახდა. დანიის სამეფო ოჯახის წევრები ცდილობენ, ხაზი არ გაუსვან საკუთარ სტატუსს და კოპენჰაგენის ქუჩები ველოსიპედებით გადაადგილდებიან.

მარგრეტეს კორონაციამ მეუღლესთან ურთიერთობაში სირთულეები წარმოქმნა, რადგან ცოლის ტახტზე ასვლის შემდეგ ის მეფე კი არა, პრინცი გახდა.

მარგრეტეს რვა შვილიშვილიდან ოთხი ვერასოდეს გახდება მეფე: შარშან სექტემბრის ბოლოს დედოფალმა მათ ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა და განაცხადა, რომ ამას იმისთვის აკეთებს, რომ „მათ ნორმალური ცხოვრება ჰქონდეთ“ და ტიტულზე არ იყვნენ დამოკიდებული.

### ბრიტანეთის დედოფლის მეგობარი

დედოფალი ელიზაბეთ II და მარგრეტე II ერთმანეთს 1979 წელს შეხვდნენ კოპენჰაგენში და იქიდან დაიწყო მათი მეგობრობაც — ისინი ყოველთვის თბილად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ურეკავდნენ ხოლმე და ერთმანეთს მოფერებითი სახელებით მიმართავდნენ.

შარშან სექტემბერში მარგრეტე ტახტზე ყოფნის 50 წლისთავის აღნიშვნას აპირებდა, მაგრამ ელიზაბეთ II-ის გარდაცვალების გამო გააუქმა ზეიმი.

დანიაში, როგორც დიდ ბრიტანეთში, საკონსტიტუციო მონარქიაა — მმართველს არ შეუძლია დამოუკიდებლად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. დანიის დედოფალი, ძირითადად, ცერემონიებში იღებს მონაწილეობას: საკუთარ ქვეყანას წარადგენს საზღვარგარეთ და მნიშვნელოვან ღონისძიებებს ესწრება. დანიის მონარქი მონაწილეობას იღებს მთავრობის ფორმირებაში, შეუძლია სხდომებზე თავმჯდომარეობა და თანამდებობებზე ჩინოვნიკების დანიშვნა. კანონი ძალაში მხოლოდ დედოფლის ხელმოწერის შემდეგ შედის, ის არის უმაღლესი მთავარსარდალიც...

დარწმუნებული ვარ, დედოფალ მარგრეტე II-ს მის მიერ დახატული ჯარის ხელმძღვანელობა არ გაუჭირდება.




**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“




**თამაზ წივწივაძის ფონდი და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“** აცხადებენ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს **„ფრთხილად, წინ მკითხველია!“**

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო კრიტიკული წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პუბლიცისტური წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები (3-5 გვ.)

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (8-10 გვ.)

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები (პროზა, პოეზია — 3-5 გვ.).

საკონკურსოდ მიიღება 2022 წელს ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ 4 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, ბელა გველესიანს.

ელექტრონული ვერსიებისთვის:
tsivtsivadzis.fondi@yahoo.com

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2023 წლის 21 მარტს, ჟურნალისტიკის დღეს.

ნომინაციების მიხედვით პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99